პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი ოთხშაბათი 7 თებერვალი № 32 (17377) ფასი 2 კაპ.

# საბჭოთა დემოკრატიის გამარჯვება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამომრჩეველთა შეხვედრა პ. გ. გილაშვილთან

**ალმაშენებლობის** მტკიცე ნაბიჯით ეგებება მშრომელი საქართველო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს. სსრ კავშირის ყველა ამომრჩეველს, ყველა მოქალაქისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მმართვის პასუხად რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელებმა კიდევ უფრო ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის სახელმწიფო გეგმებისა და ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის. ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღების შემდეგ პირველი არჩევნებისათვის მზადება ყველგან გადაიქცა სოციალისტური დემოკრატიის გამარჯვების ნამდვილ დემონსტრაციად, რაც მკაფიოდ მოწმობს პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას.

6 თებერვალს გეგეჭკორის კულტურის რაიონულ სახლში ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 172 გეგეჭკორის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავიანთ დეპუტატობის კანდიდატს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს პავლე გიორგის ძე გილაშვილს.

შეხვედრის გახსნისას საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, სოფელ გაჟეღილის კოლმეურნეობა „წინსვლის“ თავმჯდომარემ ლ. ბ. წულაიამ აღნიშნა, რომ წლევანდელი საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. აბაშის, გეგეჭკორისა და ჩხოროწყუს რაიონების მშრომელები, ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა მშრომელი, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა პირნათლად განახორციელონ პარტიის დიადი წინასწარდასახულობანი. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი სამშობლოს უპატაკონ ახალ-ახალი შრომითი წარმატებები.

შეხვედრის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

გეგეჭკორის რაიონის სოფელ ონოფოლის საშუალო სკოლის დირექტორმა გ. ი. ძაგანიამ — დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — ილაპარაკა პ. გ. გილაშვილის ცხოვრებისა და შრომითი გზის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე მისი ნაყოფიერი საქმიანობის შესახებ. მან მოუწოდა ოლქის ყველა ამომრჩეველს არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

შეხვედრაზე გამოვიდნენ გეგეჭკორის ტუნგის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი დ. ა. ხუწწელია, ჩხოროწყუს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მუშა ნ. ს. სახურია, აბაშის რაიონული პოლიკლინიკის განყოფილების გამგე მ. ს. ნამიჭეიშვილი, გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე ლ. პ. ჩიხლაძე, აბაშის რაიონის სოფელ ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგე, სოციალისტური შრომის გმირი ე. ა. არველაძე, ჩხოროწყუს ტუნგის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ე. ვ. მალანია. მათ მთლიანად და სავსებით მოიწონეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ხაზი გაუსვეს, რომ ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების განუხრელი ზრდის, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, მეათე ხუთწლედის დავალებების უთუო შესრულების ნიშნით.

სიტყვა წარმოთქვა პ. გ. გილაშვილმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. მან გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს დიდი ნდობისათვის და აღუთქვა, რომ ყოველ ღონეს იხმარს, რათა გაამართლოს ეს ნდობა, კვლავაც მთელ თავის ძალ-ღონესა და ცოდნას, მთელ ენერგიას მოახმარს ოქტომბრის დიადი იდეალების, კომუნიზმის იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლას.

არჩევნებისათვის მზადებაში, თქვა ამხანაგმა პ. გ. გილაშვილმა, დაიწყო ყველაზე საინტერესო და საქმიანი პერიოდი — მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატების შეხვედრები ამომრჩევლებთან. ამასთანავე, ეს მეტად პასუხსაგები პერიოდიც არის, რადგან ამ დროს, დეპუტატობის კანდიდატი უშუალო კონტაქტს ამყარებს ამომრჩევლებთან, შეხვედრის მონაწილენი ეცნობიან ერთმანეთს, პირობას დებენ, რომ ერთგულად ემსახურებიან პარტიისა და ხალხის ინტერესებს, თავდადებულად იშრომებენ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წინა არჩევნების შემდგომ პერიოდში ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა ახალი დიდი მიღწევები პარტიის XXV ყრილობის მიერ გამომუშავებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრანდიოზული გეგმების განხორციელებაში. გაიზარდა ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება, განმტკიცდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი, მატერიალურად და სულიერად კიდევ უფრო გამდიდრდა საბჭოთა ადამიანების ცხოვრება.

მეათე ხუთწლედის სამი წელი, აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმზე, კარგი წლები იყო. ამ წლების მანძილზე ქვეყანამ არსებითად წაიწია წინ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველა მიმართულებით. საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის ნოემბრის პლენუმის მნიშვნელობა განუსაზღვრელად დიდია. პლენუმის გადაწყვეტილებები ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ინტენსიური ფაქტორების უფრო სრულად გამოყენებას, მოახდენს ძალთა კონცენტრირებას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკვანძო პრობლემების გადასაწყვეტად, აამაღლებს კადრების პასუხისმგებლობას დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის. ამ პლენუმის შედეგები ჩვენთვის იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მასზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის კანდიდატად. ეს უწინარეს ყოვლისა დიდი პატივია საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის, ყოველივე იმის მაღალი შეფასებაა, რაც ჩვენში გაკეთდა და კეთდება.

შემდეგ ამხანაგმა პ. გ. გილაშვილმა გააანალიზა არჩევნებიდან არჩევნებამდე განვლილ პერიოდში საქართველოს რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევები. მნიშვნელოვნად გაიზარდა რესპუბლიკის წვლილი ქვეყნის დოვლათის შექმნაში, საგრძნობლად ამაღლდა მისი პრესტიჟი. დღეს საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას ახასიათებს საერთო ეკონომიკური და ინდუსტრიული პოტენციალის მყარი, დინამიკური ზრდა, სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის, რესპუბლიკის მშრომელთა კულტურის ამაღლება და მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესება.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ გასულ წელს მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა სოციალისტური ვალდებულებანი. 1975 წელთან

(დასასრული მე-2 გვ.)

# ციფრისა და ფაქტის ურყევი ლოგიკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ეკონომიკური აღმასვლითა და შემოქმედების პათოსით ხვდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. შრომა და პოლიტიკა ერთი მთლიანი მძლავრი საზოგადოებრივი ორგანიზმის ორ საიმედო საყრდენად ქცეულა.

პრესა, რადიო, ტელევიზია აუწყებს ხალხს, რომ საქართველოს ყველა კუთხეში მშრომელი ადამიანი დაუდგრომლად იღვწის დოვლათის შესაქმნელად, რესპუბლიკის სასახელოდ:

— ფოთის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია წარმოების ახალ, დამატებით რეზერვებს ავლენს;

— მახარაძის რაიონი ხორცზე საკუთარი მოთხოვნილების ადგილობრივი რესურსებით დაკმაყოფილებისათვის ემზადება;

— კახეთში და გარეკახეთში უწყლობისა და უამინდობის გამო წამოჭრილ საშემოდგომო ნათესების პრობლემებს წყვეტენ;

— მთაში დოლი დაწყებულა.

ტელეფონისა თუ ტელეტაიპის ხაზზეა ქუთაისი, რუსთავი, სამტრედია, გუდაუთა, ქობულეთი, ჯავა, ბოგდანოვკა, გარდაბანი...

შრომითს და პოლიტიკურ აღმავლობას მოუცავს ყველა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკა, მთელი საბჭოთა ხალხი და მთელი ჩვენი დიადი ქვეყანა, სადაც მოქმედებს, ბატონობს და იმარჯვებს უკვდავი ლენინის იდეათა ცხოველმყოფელი ძალა, ლენინური ანდერძისა და ტრადიციის ერთგულება.

ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი მუდამ ხალხთან უნდა იყოს, ეთათბირებოდეს მას, ეყრდნობოდეს მის კოლექტიურ გამოცდილებას. ხალხისა და ქვეყნის ცხოვრებაში ყველაზე პასუხსაგები, საეტაპო მნიშვნელობის მოვლენათა წინ, ან მათი განვითარების დროს, ან მათ შემდეგ პარტია ყოველთვის მიმართავდა ხალხს და თავის სამოქმედო პროგრამას აგებდა ხალხის საზოგადოებრივ შეგნებასა და შემოქმედებით ინიციატივაზე, ხალხთან ერთად განსაზღვრავდა მომავალს.

მასებიც უსაზღვროდ ენდობიან და გულდაჯერებით მიჰყვებიან პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს.

ეს არის პარტიისა და ხალხის ერთიანობა, პარტიის თეორიისა და პრაქტიკის, საქმისა და დევიზის სრული შესატყვისობა ხალხის ნებასა, აზრსა და სუნთქვასთან.

არჩევნები პარტიისა და ხალხის ამ ერთიანობის ერთ-ერთი სეროზული გამოცდაა.

წინასაარჩევნო და საარჩევნო კამპანია, არჩევნების შედეგები ჩვენს ქვეყანაში უტყუარად ადასტურებს ერთა და ეროვნებათა, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, საზოგადოების ყველა სოციალური ჯგუფის მონოლითურ შეკავშირებასა და განუზომელ ერთგულებას პარტიისადმი. ასე იყო და ასე იქნება.

და როცა საბჭოთა ხალხმა დეპუტატობის პირველ კანდიდატებად ერთსულოვნად დასახელა ამხანაგი ლეონიდ ბრეჟნევი და მისი თანამებრძოლები, მან ამით თავისი რწმენა გამოხატა პარტიისადმი, საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირზე ენერგეტიკული ინსტიტუტის რექტორმა ამხ. ვ. გრიგორიევმა ასე დახასიათა დეპუტატობის პირველი კანდიდატი:

— ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ლენინური ტიპის ხელმძღვანელია. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხის მასებთან, მას აქვს უდიდესი უნარი დარაზმოს ადამიანები და მათ გამოცდილებასა და ცოდნაზე დაყრდნობით მეცადინეობა წარმართოს კომუნისტური მშენებლობის საარსებო მნიშვნელობის ამოცანების გადაწყვეტისათვის. სახელმწიფოებრივმა სიბრძნემ და გამჭრიახობამ, დიდმა ადამიანურმა მომხიბვლელობამ, ყურადღებამ და გულისხმიერებამ, სიმტკიცემ და თვალსაჩინო ორგანიზატორულმა ტალანტმა, დიდმა შრომისუნარიანობამ და უშრეტმა ენერგიამ ლეონიდ ილიას ძეს საბჭოთა ადამიანების, მთელი პროგრესული კაცობრიობის უდიდესი პატივისცემა და აღიარება მოუხვეჭა.

ასე იცნობს მას ყოველი საბჭოთა მოქალაქე, ასე მიმართავს საბჭოთა ხალხი პარტიის და სახელმწიფოს აღიარებულ მეთაურს არჩევნების წინ, როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში კონსტიტუციის შესაბამისად გაშლილია კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატთა საყოველთაო პროპაგანდა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები კი თავიანთ ღია წერილში ამომრჩევლებისადმი აღნიშნავენ, რომ „ამ დიდ პატივსა და ნდობას, რომელიც ჩვენ აღმოგვიჩენენ, მთლიანად მივაკუთვნებთ ჩვენს კომუნისტურ პარტიას, რომლის უმაღლესი მიზანია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა, ქვეყნად მშვიდობა და სოციალური პროგრესი“.

ადამიანზე ფიქრი და ზრუნვა, ადამიანის დაფასების, ამაღლებისა და კეთილდღეობისათვის დაუცხრომელი მეცადინეობა — აი პოლიტიკური პლატფორმა, რომელიც ასე ნათლად არის ჩამოყალიბებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში საბჭოთა ხალხისადმი.

ბევრი რამ საგულისხმო და ხელშესახები გაკეთდა მშრომელი ადამიანისათვის არჩევნებიდან არჩევნებამდე საქართველოს რესპუბლიკაშიც.

პარტიისა და ხალხის ერთიანობას — ჩვენს ძალასა და ღონეს, ჩვენი მიზნებასახული ნინსვლის სათავეს, მტრისგან და მოყვრისგან აღიარებულს— საქართველოში თავისი მკვეთრი გამოხატულება და თავისებურებაც აქვს. ყველაზე სარწმუნოდ ამ ერთიანობას ციფრების ენა ამეტყველებს, რადგან სტატანალიზი გონებისმიერი პროდუქტია, გონების თვალით აღქმული და გაზომილი კი ყოველთვის უფრო საიმედოა. გუშინ და დღეს პრესაში გამოქვეყნდა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ზურაბ პატარიძისა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. პავლე გილაშვილის ამომრჩევლებთან შეხვედრის მასალები. და მართლაც, რომ ურყევია ციფრის ლოგიკა. რესპუბლიკა ცხრაადლიანი ნიბიჯით მიაბიჯებს.

მაგრამ არსებობს კიდევ ფაქტის ანუ სიცხადის ლოგიკა, ახალი სიტუაციის ლოგიკა, რომელიც ციფრის ლოგიკას ემატება, ავსებს და მასზე არანაკლებ ხელშესახები და შთამბეჭდავია. მას აქვს თვისება ადამიანის გული აალელვოს და აიჩქროლოს, უფრო სრულად ასახოს ტენდენცია, დაახასიათოს გარემოცვა და დაადგინოს ქცევის ნორმები.

პარტიის თბილისის კომიტეტის მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლის უდიდესი შედეგი და მონაპოვარია რესპუბლიკაში სიტუაციური სახეცვლილებები.

მაგალითად, უმაღლეს სასწავლებლებში აბიტურიენტთა მკაცრი, ობიექტური შერჩევის ატმოსფერო მარტო სამართლიანობის აღდგენა როდია, არამედ სამართლიანობის არსებობის, მისი გარდაუვალობისადმი რწმენის გამარჯვებაა. აქ სტატისტიკას მხოლოდ სტუდენტობის დღევანდელი სოციალური შემადგენლობის დადგენა შეუძლია, მაგრამ არ ძალუძს ჩასწვდეს, თუ რას ფიქრობს ახლა კოლმეურნე ან სოფლის პედაგოგი, რომლებსაც შიში აღარ აქვთ, რომ მათი მცოდნე, წიგნიერი შვილი და მოსწავლე უპროტექციოდ მეცნიერებაში გზას ვერ გაიკვლევს.

ერთობ ძნელია ციფრით გამოხატო, თუ რამდენად შემცირდა რესპუბლიკაში სუფრისა და სუფრული რიტუალისათვის განკუთვნილი დრო, მაგრამ რაოდენ შესანიშნავი და საამაყოა ფაქტი, რომ ახლანდელი თაობა თვითონ იზრდება და მის შემდგომ შემცველელ თაობას უთუოდ გაზრდის იმ სულისკვეთებით, რომ არა მარტო სამუშაო, არამედ დასვენებისა და კულტურული გართობის დროსაც უაირთიანად გამოყენება უნდა, რომ დადგება უამი, როცა ღრეობა და უაზრო დროსტარება, უფრო სწორად, დროის მოკვლა გაუგებარ გამონაკლისად მოგვეკლინება.

ან განა ნაკლებ დიდებული ფაქტია, რომ ჩვენსავე თვალწინ, ჩვენსავე ურთიერთობებში სულ უფრო იშვიათად გაისმის ყასიდად თქმული სიტყვა, რომ გადი ფორმისა და ანტურაჟის მოდა, თუ ერთსაცა და მეორესაც შინაარსი არ გააჩნია?

ხვალ და ზეგ მოიმკის საზოგადოება მასწავლებლისა და ექიმის ღირსების დამკვიდრებისათვის ცდისა და მონდომების შედეგს.

საოცრებაა, მართალია, სასიამოვნო და მისასალმებელი, მაგრამ მაინც საოცრება და ამავე დროს ცხადი ფაქტია, რომ ჩვენში იზრდება პარტიული პლენუმებისა და აქტივის კრებების, სხვა ღონისძიებათა რაოდენობა (ცხოვრება, საზოგადოებრივი განვითარების ტემპი და რიტმი თავისას შვრება), და სულ უფრო და უფრო მაღლდება მათი დონე, წინათ ზოგ-ზოგთათვის თავმოსაწონებელი ფორმალობიდან ისინი მორალური, მოქალაქეობრივი აღზრდის უბადლო სკოლად იქცა.

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი ან თბილისის ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი მხოლოდ სტატისტიკური ერთეულები რაღა. პრინციპული, სიტუაციისათვის დამახასიათებელი, მნიშვნელობა ჰქონდა პირველის ასე მოკლე დროში განახლებას და მეორის მშენებლობის დამთავრებას, რადგან ამ ამბავმა სიცხადე შეიტანა ცხოვრებისეული მოვლენებისადმი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიდგომის რაობაში. ან ის რადა ღირს, რომ თბილისელებს დღეს წყალჯომარდობის საუცხო სადგური აქვთ, და რომ შუაში ჩამდგარი პატარა გორაკი ხელს ვერ უშლის რესტორან „არაგვსა“ და საცურაო აუზს ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, როგორც საზოგადოების მართვის ორი განსხვავებული სტილისა და მეთოდის სიმბოლო.

თუ არჩევნებიდან არჩევნებამდე განვლილ პერიოდს შევეხებით, აღმოჩნდება, რომ მისთვის ნიშანდობლივი იყო ციფრისა და ფაქტის სიცხადის ლოგიკის შერწყმა.

თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრისას 1974 წლის 9 ივნისს ამხ. ედუარდ შევარდნაძე ამბობდა: „...მესამე ეტაპი ჩვენი იმ ბრძოლის ყველაზე ძნელი და ყველაზე გადამწყვეტი ეტაპია, რომელიც მიზნად ისახავს ხელმძღვანელობის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურის შემდგომ სრულყოფას, კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე პარტიული გავლენის გაძლიერებას“.

გავიდა ერთი საარჩევნო პერიოდი, რომელმაც თითქმის ხუთი წელი მოიცვა, ჩამოყალიბდა პარტიული ხელმძღვანელობის სტილი, გამოიკვეთა საზოგადოების მეცნიერული მართვის მეთოდიკა, დაიხვეწა ურთიერთობანი, და ამ დროის ცვლილებათა, გარდასახვათა პოზიტიურმა სიმძაფრემ განაპირობა ის, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების თანამიმდევრული, მიზანსწრაფული, ინტენსიური საქმიანობა, ხოლო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძემ პარტიისა და სახელმწიფოს უმაღლეს ჯილდოსთან ერთად ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

ლაპარაკია გაბედულებაზე, როგორც ხასიათის თვისებაზე, რომელიც ინერციის გამეფავ ძალას წინ აღუდგება, ხოლო საჭიროებისას, ყველაზე კრიტიკულ მომენტში, მოვლენათა შუაგულში აღმოგაჩენს, გაბედულებაზე აზრისა, რომელიც შორეულ და რთულ პერსპექტივას, XXI საუკუნის მისადგომებს ჭვრეტს; ლაპარაკია ხალხისაგან მონიჭებულ და ფიდან საშვილიშვილო საქმითა აღსრულების შეგნებით გამრავლებულ ენერგიაზე. ხელმძღვანელის საქვეყნო ავტორიტეტი? ავტორიტეტია პარტიისა, რომელიც ხალხს ემსახურება, ხალხის ნდობასა და სიყვარულზეა აღმოცენებული.

ასე იგებოდა მკვიდრი, საიმედო ხიდი ჩვენი რესპუბლიკის წინსვლისა და აღმავლის გზაზე არჩევნებიდან არჩევნებამდე.

ასეთია ციფრისა და ფაქტის ურყევი ლოგიკა.

ასეთივე ურყევი რწმენით მივა რესპუბლიკა 4 მარტს საარჩევნო ყუთებთან და ღირსეულად მოიხდის მოქალაქეობრივ ვალს!

# ამხანაგ არვიდ იანის ძე პელშეს

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ გილოცავენ თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, თქვენი ოთხმოცი წლისთავის დღეს.

პარტიული და სახელმწიფო მუშაობის ყველა პოსტზე თქვენ მთელ ძალ-ღონესა და გამოცდილებას ახმართ კომუნისტური მშენებლობის საქმის, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეალების უანგარო სამსახურს.

სულით და გულით გისურვებთ თქვენ, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო არვიდ იანის ძეო, დიდგორელობას, ჯანმრთელობას და შემდგომ ნაყოფიერ მოღვაწეობას ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, კომუნიზმის გასამარჯვებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი
სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

### სოციალისტური შრომის გმირის ამხანაგ ა. ი. პელშეს ლენინის ორდენითა და მეორე „ნამგალი და უროს“ medal-ით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით დაჯილდოდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ამხანაგი **არვიდ იანის ძე პელშე ლენინის ორდენით** და მეორე **„ნამგალი და უროს“ medal-ით.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ბიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1979 წლის 6 თებერვალი.

# ვოლაპარაკეგა დამთავრდა

**6 თებერვალს** მოსკოვში დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ვოიტაშეკის მოლაპარაკება.

მოლაპარაკებამ მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა.

ამავე დღეს ე. ვოიტაშეკმა საუზმე გამართა ა. ა. გრომიკოს პატივსაცემად. საუზმის დროს, რომელმაც გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, მინისტრებმა მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

ნაშუადღევს სტუმარი თბილისს გაემგზავრა. (საკდესი).

# თბილისის სტუმარი

**6 თებერვალს** თბილისში ჩამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ემილ ვოიტაშეკი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ვიზიტად იმყოფება საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

მოგზაურობაში პოლონეთის მინისტრს ახლავან სსრ კავშირის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ბ. ი. არისტოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე მ. მ. დეევი.

აეროდრომზე ე. ვოიტაშეკსა და მასთან ერთად ჩამოსულ პირთ დახვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ვ. ლაშქარაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ვ. მ. ხინობა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ზ. გ. ახვლედიანი, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. დ. გაბუნია, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდელაძე, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ნ. მელაძე.

ამავე დღეს საქართველოს სსრ მთავრობის სახელით ე. ვოიტაშეკს სადილი გაუმართეს. სადილზე, რომელმაც გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ე. ჩერქეზიამ და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ვოიტაშეკმა მოკლე მეგობრული სიტყვები წარმოთქვეს. (საქინფორმი).

ვიბრძოლოთ 1979 წლის სახელმწიფო გეგმის ვადამდე და ხარისხიანად შესრულებისათვის

## წარმოების რეზერვების გამოძებნითა და ამოქმედებით მივაღწიოთ მაღალ საბოლოო შედეგებს

### ქალაქ ფოთის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების მიმართვა რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი

ამხანაგებო!

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების მეათე ხუთწლედის მეოთხე წელი ძალას იკრებს. უკან დარჩა შემოქმედებითი შრომით აღსავსე სამი წელი. ეს კარგი წლები იყო. ბევრი რამ გავაკეთეთ, ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვალა. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ მჩქეფარე ცხოვრებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ვიბრძვით სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის შესრულებისათვის.

ქალაქის მრეწველობამ მეათე ხუთწლედის განვლილ პერიოდში პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის დავალებები ყოველწლიურად არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულა. სამ წელიწადში გეგმის გადაჭარბებით გამოვუშვით 17,8 მილიონი მანეთის წარმონა. სიამაყით ვაცხადებთ, რომ ზედიზედ სამი წლის განმავლობაში ქალაქში არა გვყავს არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო. ეს მიღწევები ჩვენი შუშებისა და მოსახსახურეების, ყველა მშრომელის თავდადებული შრომის შედეგია.

მაგრამ ჩვენ კომუნისტები ვართ და მიღწეულით არ ვკმაყოფილდებით! ვინაიდან ჩვენ სულ უფრო მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ ეკონომიკური ზრდის ინტენსიურ ფაქტორებს, რაციონალურად გამოვიყენოთ ყველაფერი, რაც ჩვენს სახალხო მეურნეობას აქვს, და როგორც ამას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი გვასწავლის, „მთელი მუშაობის ცენტრში უნდა დავაყენოთ წარმოების საბოლოო შედეგებზე ორიენტაცია, მათი მიღწევის უფრო ეფექტიანი და ეკონომიური გზების ძიება“.

ძვირფასო მეგობრებო, დღეს ჩვენ, მოგმართავთ ამ წერილით და მოგიწოდებთ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება 1979 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის. სოციალისტური შეჯიბრება, როგორც ამას ჩვენგან მოითხოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, მიზნად უნდა ისახავდეს წარმოების რეზერვების გამოძებნასა და ამოქმედებას. მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევის ყველაზე ეფექტიანი და ეკონომიური გზების ძიებას.

ამ დღეებში ჩვენ ერთხელ კიდევ გადავხედეთ ჩვენს შესაძლებლობებს და მივედით იმ დასკვნამდე, რომ **ყველამ ერთიანი მეცადინეობით, ხელიხელჩაკიდებულნი უნდა ვიბრძოლოთ შიდა რეზერვების ამოქმედებისათვის.** რა თქმა უნდა, თითოეულ საწარმოს თუ ინდუსტრიულ ქალაქს სხვადასხვა ეკონომიკური პოტენციალი აქვს, მაგრამ ეს შეჯიბრების გაშლას ხელს ოდენ შეუშლის. პირიქით, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ იგი აქტიურად შეუწყობს ხელს ჩამორჩენილთა დაწინაურებას მოწინავეთა დონემდე. შეჯიბრების ძალა და ეფექტიანობა უწინარეს ყოვლისა ხომ ის არის, რომ თითოეული კოლექტივი, ყოველი მშრომელი მაღალნაყოფიერად მუშაობდეს, წარმატებით ასრულებდეს საწარმო დავალებებს, ნაყნარ სოციალისტურ ვალდებულებებს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

მაშ, მოდით ამხანაგებო, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანიზაციების გაერთიანებული მეცადინეობით ყველა შრომითს კოლექტივში შევქმნათ შემოქმედებითი და ერთსულოვანი მუშაობის ატმოსფერო, რომელშიც თითოეულ მშრომელს შეეძლება უფრო სრულად გამოიჩინოს თავისი უნარი, გრძნობდეს მაღალ პასუხისმგებლობას როგორც თავისი გარჯის, ისე კოლექტივის შრომის შედეგებისათვის.

ვეხმაურებით რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა ამომრჩეველსადმი, ყველა მოქალაქისადმი და

# ხალხთა მეგობრულ ოჯახში

1979 4 მარტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ᲓᲦᲔᲡ!

## ამომრჩეველთა შეხვედრები შ. რ. რაშიდოვსა და კ. ვ. რუსაკოვთან

5 თებერვალს უზბეკეთის დედაქალაქის ხელოვნების სასახლეში ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ტაშკენტის ოქტომბრის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვედნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს შარაფ რაშიდოვს.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა, პარტიის ტაშკენტის საქალაქო კომიტეტის მდივანმა კ. პ. დუდინმა შეკრებილთ გააცნო შ. რ. რაშიდოვის ცხოვრების გზა და ამომრჩეველს მოუწოდა არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურიცხვ ბლოკის კანდიდატებს.

შეხვედრაზე გამოსულმა ამომრჩეველმა სიამაყის გრძნობით ილაპარაკეს ლენინური ეროვნული პოლიტიკის მძლავრ ძალაზე, ხალხთა დიად მეგობრობაზე, რომლის მკაფიო გამოვლინებაა შესანიშნავი გარდაქმნები, წინა არჩევნების შემდეგ რომ მოხდა უზბეკეთის, მისი დედაქალაქის ცხოვრებაში. შეხვედრის მონაწილეებმა თქვეს, თუ რაოდენ დიდი აღმავლობა გამოიწვია ოქტის შრომელებს შორის სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინასაარჩევნო მომართვამ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა შ. რ. რაშიდოვმა, რომელსაც ამომრჩეველი გულთბილად შეხვდნენ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლენინური პარტია არჩევნებს ეგებება ღრმად გააზრებული, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამით — კომუნისტური აღმშენებლობისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების პროგრამით. ამ პროგრამის კონკრეტული გამოხატულებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საბჭოთა კავშირის ყველა ამომრჩეველისა და მოქალაქისადმი.

საბჭოთა ადამიანის მიღწევები გვისახავს მტკიცე რწმენას, რომ გზა, რომლითაც პარტია მიგვიძღვის, — ეს არის სწორი გზა, ლენინური გზა. საბჭოთა ხალხების ერთსულოვან, შეკავშირებულ ოჯახში ეკონომიკისა და კულტურის განვითარების მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს უზბეკეთის მშრომელებმაც.

სტაბილურად და დინამიკურად მუშაობს მრეწველობა, მაღლდება წარმოების ეფექტიანობა, იზრდება შრომის ნაყოფიერება. ამის მეოხებით წარმოების მოცულობის ზრდის მიხედვით ხუთწლედის სამი წლის გეგმა ვადამდე შესრულდა. დამატებით არის რეალიზებული 1 მილიარდ 130 მილიონი მანეთის პროდუქცია. მნიშვნელოვნად გაფართოვდა სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი ნაწარმის ნომენკლატურა. მეათე ხუთწლედის წლებში აშენდა 60-ზე მეტი დიდი სამრეწველო საწარმო.

წარმატებით ხორციელდება პარტიის აგრარული პოლიტიკა, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის მაღალგანვითარებულ და მაღალეფექტიან სექტორად გადაქცევის კურსი. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 1976-1978 წლებში მეცხრე ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით 25 პროცენტით და მეტად გაიზარდა.

ძნელი გამოდგა გასული წელი მებამბეებისათვის. მაგრამ, ამინდის ჭირვეულობის მიუხედავად, მიწათმოქმედებმა გაიმარჯვეს ბამბის უხვი მოსავლისათვის გაჩაღებულ მძიმე ბრძოლაში და შეასრულეს სახელმწიფო გეგმა. ქვეყანამ 5.550 ათას ტონაზე მეტი ბამბა მიიღო.

დღეს ჩვენ განსაკუთრებული სიამაყის გრძნობით აღვნიშნავთ, თქვა დეპუტატობის კანდიდატმა, რომ უზბეკეთის სს რესპუბლიკის აყვავება, ჩვენი გრანდიოზული მიღწევები არის სოციალისტური ცხოვრების წესის გამოხატულება, სსრ კავშირის ყველა მოძმე ხალხთა ურღვევი მეგობრობის, თანამშრომლობის, და, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი უფროსი ძმის — დიდი რუსი ხალხის დახმარების შედეგი. ეს მეგობრობა წარმოადგენს ფასდაუდებელ საუნჯეს, სოციალიზმის, სკკპ ლენინური ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარს.

ჩვენ კვლავაც ნიადაგ განვამტკიცებთ, თვალისჩინივით გავუფრთხილდებით საბჭოთა ხალხების წმინდა მეგობრობას, განუყრელ ერთიანობასა და შეკავშირებას — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უძლეველობის წყაროს, ნიადაგ ვამრავლებთ წვლილს ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განმტკიცებაში.

საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების მონოლითური ერთიანობა, მათი შეკავშირება კომუნისტური პარტიის, ცენტრალური კომიტეტისა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გარშემო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერა კომუნიზმისათვის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის ახალ წარმატებათა საწინდარია.

დასასრულ შ. რ. რაშიდოვმა ამომრჩეველს აღუთქვა, რომ ყველაფერს იღონებს, რაცა გაამართლოს მათი ნდობა, რომ კვლავაც ერთგულად ემსახურება ხალხის ინტერესებს, ჩვენს ლენინურ პარტიას, რომლის უზენაესი მოწანია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუჯობესება, მტკიცე მშვიდობა და სოციალური პროგრესი.

---

**5 თებერვალს ლენინაკანში გაიმართა სომხეთის სსრ ლენინაკანის ცენტრალური საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანთან კონსტანტინე ვიქტორის ძე რუსაკოვთან.**

შეხვედრა გახსნა პარტიის ლენინაკანის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. ა. არზუმანიანმა.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — ხორცის საკონსერვო კომბინატის დირექტორმა დ. ს. მამიკონიანმა შეკრებილთ გააცნო კ. ვ. რუსაკოვის ცხოვრების გზა და ამომრჩეველს მოუწოდა არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

შეხვედრაზე გამოსულმა ამომრჩეველებმა ილაპარაკეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ხალხის მონოლითური ერთიანობის, ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხების ურღვევი მეგობრობის შესახებ, თქვეს, რომ სომხეთის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მთლიანად და სავსებით იწონიან ჩვენი პარტიის ლენინური კურსს. ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სსრ კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თანამიმდევრული მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა აქტიურად უწყობს ხელს დაძაბულობის შენელების ვაღრმავებას, საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა კ. ვ. რუსაკოვმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლანდელ არჩევნებს, თქვა მან, განსაკუთრებული ხასიათი ენიჭება. ეს პირველი არჩევნებია მას შემდეგ, რაც მივიღეთ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომელიც კომუნისტური აღმშენებლობის მძლავრი იარაღი გახდა. სრულად გამოვიყენოთ მისი შემოქმედებითი პოტენციალი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, სსრ კავშირის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებისათვის — აი, როგორ დგას ამოცანა, სწორედ ამ სულისკვეთებით არის გამსჭვალული ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მთელი მუშაობა.

შეეხო რა სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ საკითხს, დეპუტატობის კანდიდატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოციალისტურ ქვეყნებთან ყოველმხრივი თანამოქმედების განვითარება და განმტკიცება, როგორტ ყოველთვის, საბჭოთა საგარეო პოლიტიკის წინა პლანზეა. პოლიტიკაში, ეკონომიკაში, იდეოლოგიაში, თვდაცვის დარგში სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მჭიდრო თანამოქმედება იმ ინტერნაციონალისტური პოლიტიკის შედეგია, რომელსაც თანამიმდევრულად ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და სხვა მოძმე პარტიები.

წელს, თქვა შემდეგ ორატორმა, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებანი ფართოვდება. ამ ბადეებენ ტერორისტულ ჯგუფებს. ამ ჯგუფებში ოპოზიციური მოძრაობის დისკრედიტაციის მიზნით, როგორც ოპოზიციის პრესა იუწყება, ნერგავენ ელემენტებს. რომლებიც, გაასაღებენ თავს მემარცხენეთა წარმომადგენლებად და არეულობას შეიტანენ ოპოზიციის მოძრაობაში, პროპაგანდას გაუწევენ შიიტთა რელიგიური ჯგუფების შეურიგებლობას სხვა რელიგიური ჯგუფების მიმართ.

**ვაშინგტონი**, 5 თებერვალი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა ს. ტერნერმა განაცხადა ტელევიზიით გამოსვლისას, რომ მისი უწყება ირანში აქტიურ საქმიანობას ეწევა და, რომ ამის შედეგად ამერიკის შეერთებულ შტატებს „მოსდის შეტად კარგი ინფორმაცია ირანის ამბების შესახებ“. „ჩვენ შეგვიძლია უზრუნველვყოთ ჩვენი ხელმძღვანელები, რომლებიც პოლიტიკურ გადაწყვეტილებას იღებენ, ფრიად ხარისხიანი ინფორმაციით“, — ხაზი გაუსვა მან.

ვაშინგტონის ეურნალი „კაუნტერსპაი“ წერს: ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დაზვერვასთან ერთად ირანში ამზადებს გადატრიალებას, რათა ხელისუფლება დაუბრუნოს შაჰს. ირანში მასობრივი მღელვარების დაწყების შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, შეიძლება ითქვას, გაავსო აგენტურით ამერიკის საელჩო თეირანში. მის თანამშრომელთა დაახლოებით 67 პროცენტს ამჟამად უშუალოდ ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალმასახურის თანამშრომელნი წარმოადგენენ. ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვა აქტიურად იყენებს შეთქმულების მომზადებაში თავის აგენტურას ირანელ მოქალაქეთაგან, რომლებმაც სპეციალური მომზადება გაიარეს შეერთებულ შტატებში.

# საბჭოთა დემოკრატიის გამარჯვება

(დასასრული).

შედარებით ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი 1978 წელს გაიზარდა 20,1 პროცენტით, ხოლო ეროვნული შემოსავალი გადიდდა 22,9 პროცენტით. წარმოების მოცულობის ზრდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ თითქმის მესამედით განახლდა მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ფართოდ გაიშალა პატრიოტული მოძრაობა დევიზით „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენ გვერდით“.

შემდეგ დეპუტატობის კანდიდატმა ყურადღება მიაპყრო სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, კერძოდ, მეცხოველეობის აღმავლობის საკითხებზე.

ბრძოლა მეცხოველეობის აღმავლობისათვის მოითხოვს მთელი პარტიის, ყველა ჩვენი სამინისტროსა და უწყების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების, სოფლის ყველა მშრომელის მკვეთრ შემობრუნებას და ყურადღებას ამ საქმისადმი.

ამხ. პ. გ. გილაშვილმა შეკრებილთ მოუთხრო იმ სიძნელეებზე, რომლებიც არსებობს ჩვენს რესპუბლიკაში მეცხოველეობის დარგში. ეს სიძნელეები, თქვა მან, გამოიწვია იმანაც, რომ ჩვენში ბევრგან, კერძოდ საარჩევნო ოლქში შემავალ რაიონებში, მეურნეობის კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის მიზნით, ნაჩქარევად აიღეს ხელი მეცხოველეობის განვითარებაზე — გაუქმეს არსებული ფერმები, ნაკლებად ბრუნავდნენ პირუტყვის საცვებით უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის მე-15 პლენუმზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში წლიურლობით არ სრულდება სელოსის, ბალახის, ფეხნილის, თივის, საკვები ძირხვნების დამზადების გეგმები. გასულ წელს, როგორც საქართველოს სტატისტიკური სამმართველო იუწყება, თივის დამზადების გეგმა შესრულებულია 72 პროცენტით. სენაჟისა — 82 პროცენტით, სხვა სახეობათა საკვებისა — 75 პროცენტით. გასულ წელს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სიმუალო ჩასაბარებელმა წონამ შეადგინა მხოლოდ 251 კილოგრამი, რაც მეტად მცირეა. ამოცანა კი ის გახლავთ, აღნიშნა დეპუტატობის კანდიდატმა, რომ გაუხარელად გავზარდოთ ხორცის წარმოება, ავამაღლოთ მეცხოველეობაში მექანიზაციის დონე, დავამზადოთ მეტი და უკეთესი საკვები. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს აგრეთვე პირად დამხმარე მეურნეობაში პირუტყვისა და ფრინველის მოშენებას. უნდა შეიქმნას ისეთი საზოგადოებრივი კლიმატი, აღნიშნავდა ლ. ი. ბრეჟნევი ნოემბრის პლენუმზე, რომლის დროსაც, კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები იგრძნობენ, რომ საკმლისია და ფრინველის შინ მოშენების გზით ისინი სასარგებლო, სახელმწიფოებრივ საქმეს აკეთებენ.

შემდეგ ამხანაგი პ. გ. გილაშვილი შეეხო მეჩაიეობის, მევენახეობის, მებაღეობის ზოგიერთ საკვანძო საკითხს. მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, სოფლის მეურნეობის ამ დარგებში გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. შეუძლებელია შევურიგდეთ ისეთ მდგომარეობას, როცა ზოგი მაჩვენებლის მიხედვით გეგმა სრულდება, ხოლო დანარჩენი მაჩვენებლების მიხედვით — არა. გეგმა უნდა იყოს კანონი მრეწველობაშიც და სოფლის მეურნეობაშიც. მხოლოდ ამ პირობით შეგვიძლია ვიქონიოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების იმედი.

დეპუტატობა, აღნიშნა შემდეგ ამხანაგმა პ. გ. გილაშვილმა, მაღალი პატივი და დიდი პასუხისმგებლობაა. დეპუტატის ვალია მთელი ძალ-ღონე და ცოდნა მოახმაროს კომუნიზმის მშენებლობის საქმეს, ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობის გაძლიერებას, მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურის განუხრელ ამაღლებას. მინდა კიდევ ერთხელ დაგარწმუნოთ, რომ მთელ ჩემს საქმიანობაში, ცხოვრებასა და დეპუტატის მოვალეობის შესრულებაში მტკიცედ ვიხელმძღვანელებ საბჭოთა სახელმწიფოს კონსტიტუციური დებულებებით და მშობლიური კომუნისტური პარტიის წესდების მოთხოვნებით, ყველგან და ყოველთვის მტკიცედ დავიცავ პარტიისა და ხალხის, კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებს.

დასასრულ პ. გ. გილაშვილმა გულითადი მადლობა გადაუხადა დიდი პატივისა და ნდობისათვის გეგეჭკორის ტუნგის საბჭოთა მეურნეობისა და აბაშის რაიონის ტყვირის კოლმეურნეობის შრომითს კოლექტივებს, რომლებმაც დაასახელეს მისი კანდიდატურა ქვეყნის უმაღლეს ორგანოში, აგრეთვე ჩხოროწყუს რაიონის ლენინის სახელობის და გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას. მან გამოთქვა რწმენა, რომ № 172 გეგეჭკორის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები, ისევე, როგორც ყველა საბჭოთა ადამიანები, კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებისათვის ერთსულოვნად ხმის მიცემით ერთხელ კიდევ ცხადყოფენ თავიანთ ერთგულებას ოქტომბრის საქმისადმი, პარტიის საქმისადმი, ხორცს შეასხამენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის წინასწარდასახულობებს, იცხოვრებენ, იმუშავებენ და იბრძოლებენ ლენინურად, კომუნისტურად, ახალი ძალით დაადასტურებენ თავიანთ შეკავშირებას და ერთგულებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, მზად იქნებიან კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებისათვის.

* * *

აბაშის, გეგეჭკორისა და ჩხოროწყუს რაიონებში ყოფნის დროს პ. გ. გილაშვილი ეწვია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, მეცხოველეობის კომპლექსებს, სამშენებლო ორგანიზაციებს. გაიმართა საუბრები და აზრთა გაზიარება ამ რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებთან. განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა მიხედვით სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის აქტუალური საკითხები.

(საქინფორმი).

# ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ, ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ

**ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲡ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲝᲑᲐᲡ — ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲒᲖᲐ**

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის**

**გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის გაფართოებული სხდომა. სხდომაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები. 1979 წელს რესპუბლიკაში შრომითი მეტოქეობის ორგანიზაციის ზოგიერთ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა კომისიის პასუხისმგებელმა მდივანმა ზ. დვალმა.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილების, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად მეათე ხუთწლედის ნოემბერ ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 489 ოჩამჩირის საქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომის მონაწილეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვიქტორ მიხეილის ძე ჩებრიკოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 170 ბათუმის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ლამარა გრიგოლის ასული ჭყონია.**

№ 188 თეთრი წყაროს საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს აფხაზთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **იუზა ჯაჰოს ძე უბილავა.**

საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, მოქანდაკე **მერაბ ისიდორეს ძე ბერძენიშვილი** № 738 ჯავის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

კავშირის საბჭოს არჩევნების № 664 გურჯაანის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ თავის სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მიხეილ პორფილეს ძე გიორგაძე.**

ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბრის კოლმეურნეობის მეჩაიე **მზევინარ დურსუნის ასული ანანიძე** № 501 ჩაქვის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 494 ბათუმის ფრუნზეს საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომის მონაწილეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გაატარეს რეგისტრაციაში **ლერი მიხეილის ძე ფილია.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 495 ბათუმის ზღვისპირეთის საარჩევნო ოლქში საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ოპერატორი **ნუგზარ მემედის ძე გოგაძე.**

№ 481 სოხუმის ლენინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს აფხაზთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **იუზა ჯაჰოს ძე უბილავა.**

საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, მოქანდაკე **მერაბ ისიდორეს ძე ბერძენიშვილი** № 738 ჯავის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

№ 488 გულრიფშის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილებით სოფელ ზემო გულრიფშის მიასნიკოვის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოე **აიგუშ გურგენის ასული იანუკიანი** რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 489 ოჩამჩირის საქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომის მონაწილეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვიქტორ მიხეილის ძე ჩებრიკოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 170 ბათუმის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ლამარა გრიგოლის ასული ჭყონია.**

№ 188 თეთრი წყაროს საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს აფხაზთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **იუზა ჯაჰოს ძე უბილავა.**

საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, მოქანდაკე **მერაბ ისიდორეს ძე ბერძენიშვილი** № 738 ჯავის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

№ 488 გულრიფშის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილებით სოფელ ზემო გულრიფშის მიასნიკოვის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოე **აიგუშ გურგენის ასული იანუკიანი** რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

კავშირის საბჭოს არჩევნების № 664 გურჯაანის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ თავის სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვიქტორ მიხეილის ძე ჩებრიკოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 170 ბათუმის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ლამარა გრიგოლის ასული ჭყონია.**

№ 188 თეთრი წყაროს საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს აფხაზთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **იუზა ჯაჰოს ძე უბილავა.**

საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, მოქანდაკე **მერაბ ისიდორეს ძე ბერძენიშვილი** № 738 ჯავის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

№ 488 გულრიფშის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილებით სოფელ ზემო გულრიფშის მიასნიკოვის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოე **აიგუშ გურგენის ასული იანუკიანი** რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

კავშირის საბჭოს არჩევნების № 664 გურჯაანის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ თავის სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვიქტორ მიხეილის ძე ჩებრიკოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 170 ბათუმის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ლამარა გრიგოლის ასული ჭყონია.**

№ 188 თეთრი წყაროს საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს აფხაზთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **იუზა ჯაჰოს ძე უბილავა.**

# ᲜᲓᲝᲑᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲜᲘ

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საქართველოს საოლქო საარჩევნო კომისიებმა დაამთავრეს სახალხო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია.**

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 494 ბათუმის ფრუნზეს საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომის მონაწილეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გაატარეს რეგისტრაციაში **ლერი მიხეილის ძე ფილია.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 495 ბათუმის ზღვისპირეთის საარჩევნო ოლქში საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ოპერატორი **ნუგზარ მემედის ძე გოგაძე.**

№ 481 სოხუმის ლენინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს აფხაზთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **იუზა ჯაჰოს ძე უბილავა.**

საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, მოქანდაკე **მერაბ ისიდორეს ძე ბერძენიშვილი** № 738 ჯავის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

№ 488 გულრიფშის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილებით სოფელ ზემო გულრიფშის მიასნიკოვის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოე **აიგუშ გურგენის ასული იანუკიანი** რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

კავშირის საბჭოს არჩევნების № 664 გურჯაანის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ თავის სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვიქტორ მიხეილის ძე ჩებრიკოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 170 ბათუმის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ლამარა გრიგოლის ასული ჭყონია.**

№ 188 თეთრი წყაროს საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს აფხაზთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **იუზა ჯაჰოს ძე უბილავა.**

საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, მოქანდაკე **მერაბ ისიდორეს ძე ბერძენიშვილი** № 738 ჯავის საარჩევნო ოლქის

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახვედრად**

# თბილისი — ლენინის საარჩევნო ოლქი

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ახალი შრომითი წარმატებებით ეგებებიან ლენინის რაიონის მშრომელები.**

**პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის მაგისტრალური მიმართულება იყო და იქნება წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლება, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განსხრული აღმავლობა. ხმას მისცემენ რა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს, ამით საბჭოთა ადამიანები ხმას მისცემენ ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.**

**ყველა ამომრჩევლისადმი, ყველა მოქალაქისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან.**

**რაიონის** მშრომელთა ენთუზიაზმი დღეს განსაკუთრებით მაღალია. ეს შემთხვევითი არ არის. დიდი ბელადის სახელობის რაიონის საწარმოთა, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციათა, დაწესებულებათა კოლექტივებს დიდი ელმწიფოებრივი მოვლენების შეხვედრის მდიერი ტრადიცია აქვთ. ამ არჩევნებისწინა დღეებში როგორც საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ბევრ ადამიანს შეეხვდი ჩვენთანაც, ოლქის სხდომათა დარბაზში, რომელმაც რაისაბჭოს აღმასკომში დაიდო ბინა, და საწარმოო

**ქარტიულობა — ყოფის საზომი**

# მომავლის ნათელი

**● მოქმედებს 100 საარჩევნო უბანი**
**● მოსახლეობაში საagიტაციო-მასობრივ მუშაობას ეწევა 3.000-ზე მეტი agიტატორი ● შეჯიბრების დევიზი: არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენ გვერდით**

ექტივებშიც, და ყველგან ერთსულოვანი ამაღლებული განწყობილება იგრძნობა.

არჩევნებისწინა ვახტზე დადგომისთანავე შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინა „ელმავალმშენებელთა გაერთიანების ამწყობ-შემდუღებელი საამქროს კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელსაც ლენინის ორდენოსანი ამირან გელაშვილი ხელმძღვანელობს. ელმავალმშენებლებმა გადაწყვიტეს შინაგანი რეზერვების ამოქმედებით ერთიოროლი გაზარდონ შრომის ნაყოფიერება და ყოველ-ერთი ხუთი დღის დავალება სამ დღეში შეასრულონ. აღსანიშნავია ამ ბრიგადის პერსპექტიული ვალდებულებაც — მისი წევრები ხუთწლედის ბოლოს განაღდებას რვა თვით ადრე, 1980 წლის აპრილისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავზე ვარაუდობენ.

შრომისადმი ასეთი შეგნებული დამოკიდებულების მაგალითია აგრეთვე შეჯიბრება, რომლის დევიზებია: „ჩემი საწარმო ჩემი სიამაყეა“, „ვიყოთ საწარმოს ბატონ-პატრონი“, „დავიცვათ საწარმოს მარკის ღირსება“.

შეჯიბრების ეს ფორმები განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება ამ დღეებში, როცა რაიონის ჩვენი საარჩევნო ოლქის 100 საარჩევნო უბნის 3000-ზე მეტი agიტატორი ყოველდღიურ საagიტაციო-მასობრივ მუშაობას ეწევა მოსახლეობაში. agიტატორები ამომრჩევლებს აცნობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ჩვენი ქვეყნის ყველა ამომრჩევლისადმი, ყველა მოქალაქისადმი, agიტატორებს დაურიგდათ თვალსაჩინო ლიტერატურა, ჩვენი რაიონის ეკონომიკის წინსვლის, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ამსახველი ციფრები და ფაქტები, რომლებიც არჩევნებიდან არჩევნებამდე, შეიძლება ითქვას, არნახული ტემპით გაიზარდა. ავიღოთ თუნდაც ის, რომ შარშან 1974 წელთან შედარებით რაიონის მშრომელთა საშუალო ხელფასი 20 პროცენტით გადიდდა და 172 მანეთს მიაღწია. შარშან რაიონის მრეწველობამ 624 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია აწარმოა, ვიდრე 1974 წელს. წლითიწლობით მცირდება ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი — თუ 1974 წელს 4 საწარმო ჩამორჩებოდა, ახლა მხოლოდ ერთია.

უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი. დღეს რაიონის 37 საწარმოდან 15 ხარისხის ნიშნით ამზადებს 194 დასახელების პროდუქციას, რაც საერთო წარმოების 27,3 პროცენტს შეადგენს. ჩვენი agიტატორები დიდ ყურადღებას უთმობენ შშენებლობის საკითხებს. შარშან რაიონში პირველად შესრულდა კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების დავალება, ათვისებული 4,2 მილიონი მანეთით მეტი კაპიტალური დაბანდებანი, ვიდრე 1974 წელს. ამოქმედდა 3,1 მილიონ მანეთზე მეტი მოცულობის ძირითადი ფონდები. შარშან მოსახლეობას გადაეცა 94,8 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი — 9,2 ათასი კვადრატული მეტრით მეტი, ბინები მიიღო რაიონის 3,6 ათასმა მცხოვრებმა, 1974 წელს 2,4 ათასის ნაცვლად.

ამ დღეებში, როცა რაიონის მშრომელები განვლილ მუშაობას აანალიზებენ და მომავალი წარმატებების გზებს სახავენ, არჩევნებისათვის მზადების ამ თვალსაწიერიდან ნათლად ხედავენ იმ დიდ ამოცანებს, რომლებსაც პარტია და მთავრობა უსახავენ ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. საყოველთაო აქტიურობა დღეს მათი ყოფის საზომია.

**გ. გაჩეჩილაძე,**
**თბილისის № 161 ლენინის საარჩევნო საოლქო კომისიის თავმჯდომარე.**

**შეჯიბრების წინა ხაზზე**

# ჩვენი პირობა და განაწესი

**არ შევანელოთ, კიდევ უფრო გავაძლიეროთ ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ — ეთია პირველი საბჭოთა არჩევნების მონაწილის, ვეტერანი მუშის განაწესი**

ედნიერად ვთვლი თავს, ... ლენინის რაიონის მკვიდრი ... აქ, დიდი ბელადის სახელ... ამ რაიონში ავიდგი ფეხი ... ორც მუშა-ნოვატორმა, აქ ... დამკვრელი, სტახანოვე... აქ მივიღე შრომისადმი შეგ... დამოკიდებულების მაგა... აქ შევიძინე ის დიდი ენ... ზმი, რომელიც ამ ხანდაზ... ებში მეორე სიცოცხლედ ... ყა და საშუალება მომცა ... ც ვიდგე ჩემს სამუშაო ... ზე, ვჭედე ჩემი მშობლი... ქარხნის, ჩემი ქვეყნის მო... ლს.

... ბამ თაობამ დიდი გაჭირვე... გამოიარა, მაგრამ თავისი სა... თვის არასდროს არ უღალა... და ჩვენი ეს მაგალითი მემ... �ობად რჩება ახალგაზრდა ... ბას, რომელიც დღეს მეათე ... წლედის დიადი გეგმების შე... ლებისათვის იბრძვის.

... იდი და პასუხსაგები ჩვენი ... ცანები, რომლებიც წარმო... ყველა უბანზე ეფექტიანო... გაუხრელ ამაღლებას, დის... ლინის განმტკიცებას, მინდო... ი საქმისათვის პასუხისმგებ... ბის ზრდას, პროდუქციის ხა... ის მკვეთრ გაუმჯობესებას ... ლისწინებს.

... სიხარულია, რომ წინა არჩე... ნიდან დღემდე განვლილ პე... ოდში დიდი ნაბიჯი გადავდგით ... XXV ყრილობისა და საქარ... ველოს კომპარტიის XXV ყრი... ლობის ამ მოთხოვნათა შესრუ... ლების გზაზე. და ამ საყოველ... თაო-სახალხო ლაშქრობაში კ�plა... ერთ-ერთი მოწინავენი იყვ... ნ და არიან როგორც ჩემი რაი... ონის, ისე მშობლიური საწარ... ოს მშრომელები.

... ენი ქარხნის კოლექტივი ერთ... ი პირველი ჩაება წარმოების ... ა რგოლში დისციპლინის ... ტაციებისა და პასუხისმგებ... ლობის ამაღლებისათვის რუსთა... ველი მეტალურგთა მიერ დაწყე... ული სოციალისტურ შეჯიბრება... ში დღეს, როცა მთელი ჩვე... ენი ქვეყნის მშრომელები სსრ კა... ვშირის უმაღლესი საბჭოს არჩე... ვნებისათვის ემზადებიან და, ... ოციისამებრ, აჯამებენ მუშა... ობის შედეგებს, შემიძლია სიამა... ყით აღვნიშნო, რომ ნაკისრი ვა... ლებულებები პირნათლად შე... სრულეთ.

... თვრდება ქარხნის სრული ... ონსტრუქცია, მწყობრში დგე... ბა თლიანად გაახალგაზრდავებუ... ლი უძველესი საწარმო, შესრუ... ლდა დიდი მოცულობის ... ენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, და ამასთან ერთი წუთითაც არ გვქონია შეფერხება მეორე ფრონტზე — სამშობლო რიტმულად, გეგმის მიხედვით იღებდა საჭირო პროდუქციას, რომლის დამზადებაც ჩვენ გვავალა.

უფრო მეტიც. ამ უკანასკნელი წლების მანძილზე არ ყოფილა წელიწადი, რომ საწარმოო გეგმები გადაჭარბებით არ შეგვესრულებინოს. მაგალითად, შარშან ჩვენი ქარხნის კოლექტივმა 326 ათასი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია გაასაღა, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა. ეს მაჩვენებელი ნაკისრ ვალდებულებასაც აღემატება. შევასრულეთ ნომენკლატურის დავალებაც, რომლის შეუსრულებლობისათვის ადრე გვისაყვედურებდნენ. შარშან, მაგალითად, დაგეგმილი 250 წვეის ძრავის ნაცვლად 368 ცალი ასეთი ძრავი გარემონტდა.

ჩვენი საწარმო ახალი ტექნიკით აღიჭურვა, ეს ნიშნავს, რომ უმჯობესდება ჩვენი შრომის პირობები, გაიზრდება შრომის ნაყოფიერება, იმატებს ეკონომიკური ეფექტიც, და ყოველივე ეს დიდი სიხარულით ავსებს საწარმოს მშრომელთა გულს.

ფართოდება შეჯიბრება შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის, მაღლდება კოლექტიური პასუხისმგებლობა და ახლებური შრომის მაგალითებს გვიჩვენებს საწარმოს ახალგაზრდობა.

ქარხნის წარმატებებზე საუბარი შემძლია კიდევ გავაგრძელო. მაგრამ მე, როგორც პირველი საბჭოთა არჩევნების მონაწილეს, ახალი საბჭოთა კონსტიტუციის შემდეგ პირველი უმაღლესი საბჭოს არჩევნების მზადების ამ დღეებში მინდა გამოვთქვა ჩემი გულისნადები, რომელიც სრულად გამოხატავს როგორც ჩვენი ძველი თაობის, ისე მუშა ახალგაზრდობის ზუსტ პოზიციას. **საჭიროა არათუ შენელდეს, არამედ უფრო გააქტიურდეს ნეგატიური მოვლენების, არსებული ნაკლოვანებების წინააღმდეგ ბრძოლა,** ვიდრე ჩვენს საზოგადოებაში არ დამყარდება სრული წესრიგი, ვიდრე გვეყოლება თუნდაც ერთი ჩამორჩენილი.

**კ. ილურიძე,**
**თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტრო-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ვეტერანი მჭედელი, სოციალისტური შრომის გმირი.**

## მამათა სახელოვანი გზით

**ლენინის** რაიონი თბილისის მნიშვნელოვანი ნაწილია. მსოფლიოს პროლეტარიატის ბელადის სახელი ამ რაიონს ამიერკავკასიის მთავარი სახელოსნოების მუშათა სურვილითა და მოთხოვნით მიენიჭა.

ამ სახელოსნოებსა და რკინიგზის დეპოში ფარულად ისმოდა სიტყვები: „რევოლუცია“, „ისკრა“, „ლენინი“... ახდა მათი ოცნება და ოქტომბრის მზის ქვეშ ახალი, სოციალისტური ცხოვრება დაიწყო.

მაშინ ამ რაიონში 15 ათასამდე მცხოვრები იყო. მაშინდელი ქოხმახები, პრიმიტიული საწარმოები და ოღრო-ჩოღრო, ტალახიანი ქუჩები წარსულს ჩაბარდა.

დღეს ლენინის რაიონის მცხოვრებთა რიცხვი 260 ათასამდე გაიზარდა. მისი ტერიტორია კი 72 ათასი კვადრატული კილომეტრია და ერთ-ერთი მძლავრი სამრეწველო ცენტრია, სადაც იბრძვიან და იღვწიან იმისათვის, რომ ვადაზე ადრე გაანაღდონ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებები.

კიდევ უფრო იზრდება და ფართოვდება ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი და ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნები, ს. მ. კიროვის სახელობის „ჩარხშენებლის“ საწარმოო გაერთიანება, ავტოშემკეთებელი ქარხნები, საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატი“, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა და სხვა მრავალი სამრეწველო საწარმო. ამ შრომითი კოლექტივების მიერ გამოშვებული პროდუქცია იგზავნება საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის მრავალ ქალაქში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახვედრად ლენინის რაიონის მშრომელებმა ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და ახლა მთელი ძალით ცდილობენ ახალი შრომითი საჩუქრები მოამზადონ საერთო-სახალხო ზეიმს, რომ ამაყად მოვიდნენ ისინი საარჩევნო ყუთებთან და ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, მშვიდობას, ადამიანის კიდევ უფრო ბედნიერ მომავალს და საკუთარი ჭერის კეთილდღეობას.

თბილისი, ლენინის რაიონი. სურათზე: შენობა, სადაც მოთავსებულია № 161 საარჩევნო ოლქი.

**არჩევნებიდან არჩევნებამდე**

# ძველი ნაძალადევის ახალი ცხოვრება

**ძველი** ნაძალადევი... იდგნენ ნაძალადევად აგებული ქოხმახები და ელოდნენ. რას? დანგრევას, რომ მათ ადგილზე ახალი თეთრი ქალაქია შენობები წამოჭიმულიყო.

ნაძალადევი... აქ მთავარ სახელოსნოებსა და რკინიგზის დეპოში ფარულად გაისმოდა სიტყვები „ისკრა“, „ბრძოლა“, „ლენინი“...

15-დე მოუცარწყლავი, უაზროდ ამსწორო ტალახიანი ქუჩით, 15 ათასი მცხოვრებით შიხედა რაიონი 1921 წლის 25 თებერვალს, და პირველი რაიონი გახდა დედაქალაქში.

ახლა 37 მსხვილ სამრეწველო საწარმოში დამზადებული უმნიშვნელოვანესი სახეობის სხვადასხვა პროდუქცია ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში და საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში იგზავნება. 17 სამშენებლო ორგანიზაცია, 5 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 38 ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულება, 39 საშუალო სკოლა, 13 პროფტექნიკუმი, 9 მუსიკალური სკოლა, 11 მასობრივი ბიბლიოთეკა, 12 სახალხო უნივერსიტეტი, მრავალი სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტი — აი დღეკანდელი რაიონის ზოგადი სახე.

**ახალი** ნაძალადევი... ოქტომბრის ქუჩა, დედაქალაქის ყველაზე გრძელი ქუჩა. ძველი ქოხმახების ადგილზე აგებულ ლამაზ შენობაშია გახსნილი უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის № 161 ლენინის საარჩევნო ოლქი. აქ, ამ შენობის ვრცელ დარბაზში, სადაც საოლქო კომისია დაბინავებულა, მოსული ადამიანი ნათლად იგრძნობს რაიონის მაჯისცემას.

**რ. ლომთათიძე.**

# აშენდა, კეთილმოეწყო

### საბინაო მშენებლობა

● **მარტო ქალაქის საბჭოს ხაზით რაიონში აშენდა 127 მრავალსართულიანი სახლი 9.601 ბინით, რომელთა საერთო ფართობი 319,727 ათას კვადრატულ მეტრზე მეტია.**

### ჯანმრთელობის დაცვა

● **გლდანსა და ელმავალსაშენებელი ქარხნის დასახლებაში საექსპლოატაციოდ გადაეცა პირველი კატეგორიის აფთიაქი, ორი პოლიკლინიკა, ახალ კეთილმოწყობილ შენობაში გადავიდა სასწრაფო დახმარების სადგური.**

### კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტები

● **აშენდა 9 ახალი საშუალო სკოლა, რომლებშიც 9 ათასი მოსწავლე სწავლობს, 14 საბავშვო ბაღ-ბალი 3.820 ადგილით, შენდება ორდარბაზიანი კინოთეატრები გლდანის საცხოვრებელ მასივში.**

### ქუჩები, ხაბურები

● **რაიონის რუკაზე გაჩნდა ახალი მაგისტრალი — ქერჩის ქუჩა, რეკონსტრუირებულია ულიანოვის, ოქტომბრის, ფეიქრების, იპოლიტოვ-ივანოვის, შატილისა და სხვა ქუჩები. ახალი სკვერები და გაზონები მოეწყო ავჭალის გზატკეცილზე, გლდანის მასივში.**

### ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება

● **ელმავალსაშენებელი ქარხნის დასახლების მცხოვრებლებისათვის აიგო ახალი სავაჭრო ცენტრი (თვითმომსახურების უნივერმაღი, კაფე-ბარი, სამრეწველო მაღაზია, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი).**

**გლდანში გაიხსნა რაიკვებვაჭრობის უნივერსალური სასურსათო მაღაზია, ხილბოსტნეულის თვითმომსახურების მაღაზია, სანტექნიკისა და საქწიგნის მაღაზიები. ამოქმედდა საყოფაცხოვრებო მომსახურების დიდი კომბინატი.**

### მეტროპოლიტენი

● **დაიწყო მეტროპოლიტენის ახალი ხაზის გაყვანა გლდანის მიმართულებით.**

**სურათებზე** (ზემოთ) — ახალგაზრდა ამომრჩევლებს ესაუბრება თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი, ახალგაზრდა მუშების დამრიგებელი ალექსანდრე მარგველაშვილი. **ეს სახლები** (ქვემოთ) ძველ ნაძალადევში აღმართულა იმ პატარა ქოხმახების ადგილს, სადაც მაშინ რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშები ცხოვრობდნენ.

**ს. ციხაძის ფოტო.**

**თქვენთვის, ამომრჩევლებო!**

# იხარე, ჭერო!

**ამ სახლში არჩევნების მოსახლეობას ლენინის ცად** აზიდულან ლამაზი, ქათქათა მაღლივი სახლები. თბილისის რომელ კუთხეში არ ნახავთ ამ გოლიათებს. ამაყად გადმოსცქერიან ისინი მრავალი ჭირ-ვარამის მნახველი ჩვენი დედაქალაქის უძველეს უბნებს, და თითქოს ამბობენ: გვიყურეთ, დატკბით, ჩვენ ახალი თბილისის მშვენება ვართო.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ლენინის რაიონში ძველი ნაძალადევის, ლოტკინის გორის, ღრმაღელისა და სხვა დასახლებებში, გლდანსა და თბილისის ზღვის მიდამოებში პირველად გაიჭრა ახალი მშენებლობების საძირკველი. მოვიდნენ მშენებლები და აშენდა ახალი ქალაქი. ამ ხნის განმავლობაში ბევრმა თბილისელმა იზეიმა ახალმოსახლეობა, ბევრი თბილისელის ახალი ჭერის ქვეშ დაირწა აკვანი. ახალმოსახლეთა სიხარული ჩვენ, მშენებლებსაც სიხარულს გვანიჭებს, რომ მშრომელი კაცის კეთილდღეობას ვემსახურებით.

საგეგმო დავალებებისა და ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის თავდადებით შრომობს ჩვენი სამეურნეო ანგარიშით მომუშავე ბრიგადა, რომელსაც მემონტაჟე ვ. გურჯიევი ხელმძღვანელობს.

ბრიგადის თითოეული წევრი გრძნობს დიდ ყურადღებას, რომელსაც მშენებლების მიმართ იჩენს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ეს ზრუნვა კიდევ უფრო მეტს გვავალებს, კიდევ უფრო გვაყვარებს მშენებლის პროფესიას.

ამჟამად ჩვენი ბრიგადა გლდანის დასახლების პირველ მიკრორაიონში აშენებს კიდევ ერთ 16-სართულიან საცხოვრებელ სახლს, რომელიც შენდება ახალი სერიის კონსტრუქციებით. პირველად საბინაო მშენებლობის პრაქტიკაში გამოყენებულია ხუთსართულიანი მთლიანი კოლონები. ამ სერიის კონსტრუქციებით სახლების მშენებლობა დიდ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა და ამცირებს მშენებლობის ვადას.

**დასასრულს უახლოვდება სახლის დამონტაჟება. პარალელურად მიმდინარეობს მოპირკეთების სამუშაოები. ბრიგადას გადაწყვეტილი აქვს ამ 75-ბინიანი საცხოვრებელი სახლის აგება არჩევნების დღისათვის დაამთავროს.**

მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის სამეურნეო ხელმძღვანელობასთან ერთად გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებს ტრესტის პარტიული კომიტეტი, რომელმაც თავისი მუშაობა ამ მხრივ კიდევ უფრო გააქტიურა თბილისის საქალაქო პარტიული კონფერენციის შემდეგ, სადაც მშენებლების მისამართით სამართლიანი შენიშვნები და კრიტიკა გამოითქვა, დიდი ყურადღება ექცევა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხარისხს, და ითელი კოლექტივის მიზანია საცხოვრებელი სახლები საექსპლოატაციოდ გადაეცეთ მხოლოდ „ფრიადი“ შეფასებით, ჩვენ ამისათვის აღგვაფრთოვანებს აგრეთვე სსრ კავშირის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ყველა ამომრჩევლისადმი.

მაგრამ რაოდენ დასანანია, რომ ჩვენს კარგ ნახელავს აუშნოებენ ზოგიერთი სამშენებლო ნასალებისა და ნაკეთობების მომწოდებელი ორგანიზაციები. დღესაც ჩვენი ტრესტის ქარხანას მსხვილი პროფილის არმატურის უქონლობის გამო არ ძალუძს გამოუშვას ჩასაბარებელი სახლებისათვის ზოგიერთი კონსტრუქციები. უხარისხოა და საგრძნობ გაუმჯობესებას მოითხოვს ხის ნაკეთობათა ხარისხი.

მასალების უქონლობის გამო ხშირად გაჩერებული ვართ. იკარგება ძვირფასი დრო. ურიტმი ომმარაგება იწვევს ობიექტის ჩაბარების ბოლო დღეებში დაძაბულ მუშაობას. ამის შედეგია ისიც, რომ ჩაბარებულ სახლებში ზოგიერთი სამუშაოს დასამთავრებლად დამატებითი დრო გვჭირდება, ირღვევა გრაფიკი. ამ მავნე პრაქტიკას ტრესტის პარტიულმა კომიტეტმა და სამეურნეო ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

ცაში მიიწევს ხარაჩოები, ძალასა და ენერგიას არ იშურებენ გულმადარი და მკლავმოღლილი ადამიანები, რომ პირნათლად შეასრულონ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებები.

**შ. მოლაშვილი,**
**„მაღლივმშენის“ ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს ბრიგადის კალატოზი.**

**უბნებსა და agიტაუნქტებში**

## საუბარს ატარებენ agიტატორები...

**უკვე ათას ექვსასზე მეტ ამომრჩეველთან გამართეს საუბრები 77/34 საარჩევნო უბანში, რომელიც თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის დასახლებაში № 148 საშუალო სკოლის შენობაში მოქმედებს.**

— სკოლის დირექციამ დროულად იზრუნა და უბნის მოსაწყობად მოსწავლეთა სიმღერის კაბინეტი გამოგვიყო, — გვეუბნება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კ. ბასილიადი და შესანიშნავად გაფორმებულ სტენდებს, სპეციალურ ლიტერატურას გვთავალიერებინებს. — ჩვენ უბნის გახსნის პირველსავე დღეს შევადგინეთ სამუშაო გეგმა, გამოვყავით 37 agიტატორი, დავაწყესეთ საუბრების დღე. ამომრჩეველთა თითქმის 90 პროცენტმა უკვე მიიღო მონაწილეობა ამ საუბრებში...

ჩანს, რომ უბნის agიტატორებს ლ. კეფაშვილს, ლ. ლაცაბიძეს, ა. არუთიონოვას და რ. პოვნევას საუბრები საქმიან ვითარებაში ჩაუტარებიათ, შენიშვნებითა თითქმის სავსეა სპეციალური ჟურნალი. ამომრჩეველთა ეს განაწესები რეგულარულად იგზავნება რაიონული საბჭოს აღმასკომში, მას ეძღვნება კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი.

— დღითი-დღე იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება ჩვენი მიკრორაიონი, — გვითხრა № 148 საშუალო სკოლის დირექტორმა, ამომრჩეველმა ლ. სერდიუკმა, — უკანასკნელ წლებში ბევრი ახალი კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტი აშენდა, მაგრამ აშკარად არ გვყოფნის კულტურული კერები, ბავშვთა დაწესებულებები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედნები, მიკრორაიონში კი 5 საშუალო სკოლაა. კარგი იქნება თუ ამ საკითხებს მეტი ყურადღება დაეთმობა. ეს ჩვენი ამომრჩევლების თხოვნაა.

**რ. რატიანი.**

## პირველი ხმის უფლება

**ის-ის იყო ახალგაზრდა ამომრჩევლებთან შეხვედრა დამთავრდა, როცა № 118/75 საარჩევნო უბანში მივედით. 19 ახალგაზრდა ამომრჩეველი მხიარულად ტოვებდა № 112 საშუალო სკოლის შენობას.**

— ჩვენ აქ უკვე მესამედ ვართ, — გვითხრა ახალგაზრდა ამომრჩეველმა 18 წლის მაია ანთაძემ, — წინა შეხვედრებზე agიტატორი ლ. დიასამიძე გვესაუბრა სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაზე, კანონზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ. დღეს კი გაგვაცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ჩვენი ქვეყნის ყველა ამომრჩეველებისადმი, ყველა მოქალაქისადმი. შემდეგ თეორიული გამოკითხვა მოაწყო და გვთხოვა წერილობით გამოგვეთქვა ჩვენი აზრი თემაზე: „პირველი ხმის უფლება“.

— ძალიან საინტერესო ნაწერებია, — საუბარში ჩაერია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კუკური გოშაძე, — ახალგაზრდებს ღრმად აქვთ შეგნებული თავიანთი უფლებები და მოვალეობები, კარგად იცნობენ ჩვენი ცხოვრების ძირითად კანონს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შეასრულონ პარტიის დიდი გეგმები. ისინი სტუდენტები, მუშები, სხვადასხვა დაწესებულების მუშაკები არიან.

განზრახული გვაქვს მათი წერილებით გამოვუშვათ სპეციალური კედლის გაზეთი „პირველი ხმის უფლება“.

**მ. გიორგაძე.**

## სახელოვანი ისტორიის ფურცლები

**თბილისის** ლენინის რაიონს დიდი რევოლუციური წარსული აქვს. ამ რაიონში 1881 წლის 1 მაისს შეიქმნა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები (ამჟამად აქ ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანაა), რომლებიც თბილისელი მუშების რევოლუციური მოძრაობის მძლავრ კერად იქცნენ.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან აქ შეიქმნა პირველი სოციალ-დემოკრატიული წრეები და მუშათა გაფიცვებმა პოლიტიკური ხასიათი მიიღო. 1891-1892 წლებში ამ სახელოსნოებში დიდი რუსი მწერალი მ. გორკი მუშაობდა. 1900 წელს აქვე მუშაობდა და გაფიცვებს ხელმძღვანელობდა კომუნისტური პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე მ. კალინინი.

აქ გაიარეს წრთობა მუშა რევოლუციონერებმა ზაქარია ჩოდრიშვილმა, სერგეი ალილუევმა, ვანო სტურუამ, მიხო ბოჭორიძემ და სხვ. ამ რაიონში ეწეოდნენ პარტიულ-პროპაგანდისტულ მუშაობას ი. სტალინი, ლ. კეცხოველი, ვ. კურნატოვსკი, ა. წულუკიძე, მ. ცხაკაია, ა. ჯაფარიძე, ფ. მახარაძე, და სხვ. ლენინის რაიონში მოეწყო მუშათა პირველი არალეგალური საპირველმაისო მიტინგები.

**1900 წელს** ამ რაიონში გაიმართა მუშათა გრანდიოზული პოლიტიკური გაფიცვა, რომელმაც თბილისის ყველა საწარმო მოიცვა. და შემდგომ წლებშიც რაიონის მუშები თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ საგაფიცვო ბრძოლაში.

**განსაკუთრებით** აღსანიშნავია ის გრანდიოზული მიტინგები, დემონსტრაციები და შეიარაღებული გამოსვლები, რომლებიც 1905 წლის რევოლუციის დროს აქ გაიმართა. დღეს ამ დიდებული რევოლუციური მოვლენების უკვდავსაყოფად ობელისკები აღმართულა და მემორიალური დაფებია გაკეთებული.

**1917-1921 წლებში** ლენინის რაიონის მშრომელები ბოლშევიკების ხელმძღვანელობით შეუპოვრად იბრძოდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად, და ახალი ცხოვრების მშენებლობასაც რევოლუციური მგზნებარებით შეუდგნენ.

# ხმა მივცეთ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს!

# შაბათ საღამოს ოპერის თეატრში...

## „ის ლამაზი სხივოსანი მზე“

### სპექტაკლს დგამს უნგრელი რეჟისორი

**„სიჩუმე, რეპეტიცია მიმდინარეობს!“** — გაცნობთ კედელზე გაკრული წარწერა. კარს იქით, დარბაზში კი, ფრძელ მაგიდასთან, რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები სხედან და თანამიმდევრობით კითხულობენ ტექსტს. მაგიდის თავში ჭაღარა, სათვალიანი კაცი ზის. ის მსახიობებს უხსნის, როგორ წარმოადგინონ თითოეული სცენა. მის ნათქვამს უნგრული ენის მცოდნე მანანა სალაძე თარგმნის, რომელმაც ქართულად ამეტყველა მაგდა სპბოს პიესა „ის ლამაზი სხივოსანი მზე“. სწორედ ამ პიესის საანალიზო რეპეტიცია მიმდინარეობს და დამდგმელი რეჟისორიც უნგრეთიდან მოწვეული, ბუდაპეშტის ეროვნული თეატრის მთავარი რეჟისორი, ორგზის კოშუტის პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ენდრე მარტონია.

რუსთაველის თეატრის მსახიობებისათვის საზღვარგარეთელ რეჟისორთან შეხვედრა პირველი არ არის. ამ რამდენიმე წლის წინათ თეატრის კოლექტივმა უნგრელი რეჟისორის გაბორ ბერენის დადგმით წარმოადგინა იოანეს კატონას „ბანკბანი“, რომელსაც დიდი მოწონება ხვდა როგორც ჩვენში, ისე ბუდაპეშტში, თეატრის გასტროლების დროს.

რეპეტიციის დამთავრების შემდეგ უნგრელ რეჟისორს ვთხოვეთ ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე.

**— რით არის აღსანიშნავი მაგდა სპბოს პიესა და რატომ აირჩიეთ მისი დადგმა?**

— სპბოს ისტორიული დრამა „ის ლამაზი სხივოსანი მზე“ ჩვენში დიდად პოპულარულია. იგი ამ სამი წლის წინათ დაიდგა ბუდაპეშტის ეროვნული თეატრის სცენაზე და მას შემდეგ მაყურებელი არ აკლდება. პიესა წარმართი უნგრელების გაქრისტიანებას ასახავს. მასში წარმოდგენილია, თუ როგორ გარდაიქმნება დიდი ისტორიული შემობრუნების პერიოდში პატარა ხალხის ცხოვრება. ვფიქრობ, ეს ნაწარმოები ქართველ მაყურებელსაც დააინტერესებს.

**— ჩვენს თეატრალურ ხელოვნებას თუ იცნობთ?**

— სამწუხაროდ, ღრმად მხოლოდ ახლა ვეცნობი ქართულ თეატრს. 1974 წელს ბუდაპეშტში ვნახე რუსთაველის თეატრის რამდენიმე სპექტაკლი, მათ შორის „ბახტანი“. ქართული მსახიობების ხელოვნებამ მოიხიბლა.

**— როდის ნახავს ჩვენი მაყურებელი თქვენ მიერ დადგმულ სპექტაკლს და ვინ მონაწილეობენ მის განხორციელებაში?**

— პრემიერა ათ მარტს გაიმართება თბილისში. სპექტაკლს მხატვრულად გააფორმებს ბუდაპეშტის თეატრის მხატვარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე არპად ჩანი, კოსტიუმების მხატვრობაზე მუშაობს ასევე ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე იუდიტ შეფერი.

სპექტაკლში მონაწილეობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლ. ფილფანი, მსახიობები გ. ჭყონია, თ. დაუშვილი, ო. სეთურიძე, ჯ. ნაზიაშვილი, გ. ლეჟავა, ლ. მიშველაძე, ი. ბალიაშვილი, ა. ბეჟუაშვილი, გ. ხანიძე, გ. ტყეშელაშვილი, ე. ქუთათელაძე.

სპექტაკლის დადგმა ეძღვნება უნგრული დრამის ფესტივალს, რომელიც ამ გაზაფხულს გაიმართება საბჭოთა კავშირში.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად რუსთაველის თეატრი სპექტაკლებს მართავს თბილისში, რკინიგზელის სახლის შენობაში და პრემიერაც აქ გაიმართება.

**ლ. ხუბულური.**



ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

## კარპოვის განცხადება

„შესვენების პერიოდი დამთავრდა“, — განაცხადა მსოფლიოს ჩემპიონმა ა. კარპოვმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას. და აი, 25 თებერვლიდან კარპოვი ჩაებმება მიუნხენის (გერ) დიდ საერთაშორისო ტურნირში, სადაც 13 დიდოსტატი და 3 ოსტატი მიიღებს მონაწილეობას. აპრილში ამას მოჰყვება 10 დიდოსტატის ასპარეზობა მონრეალში (კანადა), 2 წრედ. შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონი დაისვენებს და მოეშზადება საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის საჭადრაკო ტურნირისათვის, სადაც ყველა უძლიერესი საბჭოთა დიდოსტატი ითამაშებს. ეს შეჯიბრება მოსკოვში, ივლისში გაიმართება.

## კუპრეიჩიკი — ერთპიროვნული ლიდერი

**თბილისში** გრძელდება „დინამოს“ საკავშირო პირველობა ჭადრაკში. მეოთხე ტურში ვ. კუპრეიჩიკმა (ბელორუსია) დაამარცხა ა. მორგულიანი (აზერბაიჯანი) და 4 ქულით გასამაშების ერთპიროვნული ლიდერი გახდა. ქართველ მოჭადრაკეთა შორის ჯერჯერობით ყველაზე უკეთესი შედეგი აქვს ახალგაზრდა ოსტატ ზ. აზმაიფარაშვილს (2 ქულა და 1 გადადებული პარტია).

გუნდურ ჩათვლაში კვლავ წინაა ბელორუსიის კოლექტივი — 7,5 ქულა და 3 გადადებული პარტია.

## მოკლედ

**კალათბურთი.** კიევში გრძელდება კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. გუშინ თბილისის „დინამო“ შეხვდა მინსკის რტის და დამარცხდა ანგარიშით 77:95.

**ხელგურთი.** **მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ვაჟთა გუნდმა სტუმრად გამართა თასების მფლობელთა თასის გათამაშების განმეორებითი მატჩი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „გუმერსბახთან“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ (18:18). ამ გუნდების პირველი მატჩი მოსკოვშიც ფრედ (20:20) დამთავრდა. იმის გამო, რომ საბჭოთა სპორტსმენებმა მეტოქეთა მოედანზე ნაკლები ბურთი გაიტანეს, ვიდრე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელბურთელებმა, ნახევარფინალში ითამაშებს „გუმერსბახი“.**

**ატლანტა.** ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი. აქ წარმატებით ითამაშეს საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც თერთმეტი წონითი კატეგორიიდან ექვსში ოქროს მედალი მოიპოვეს. ორი ოქროს მედალი მიიღეს სამხრეთკორეელებმა, თითო — ინდონეზიელმა, ავსტრალიელმა და მალაზიელმა მოკრივეებმა.

## ვ. კაკაბაძე

ძველ ბოლშევიკ-რევოლუციონერთა რიგებს გამოაკლდა საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, 1917 წლიდან პარტიის წევრი ვარდენ ერმილეს ძე **კაკაბაძე.**

ვ. კაკაბაძე დაიბადა 1897 წელს ხონის მაზრის სოფელ კუბში, რევოლუციონერთა ოჯახში. სახელოსნო სასწავლებელში სწავლების დროს ჩაება ის იატაკქვეშა რევოლუციურ საქმიანობაში — ავრცელებდა მარქსისტულ ლიტერატურას, აქტიურად მონაწილეობდა გაფიცვების მომზადება-მოწყობაში და იარაღით ხელში გამოდიოდა მეფის რეჟიმის წინააღმდეგ. 1919-1921 წლებში ვ. კაკაბაძე აქტიურად ებმება საქართველოში მეწმენდეკური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში, რისთვისაც ორჯერ იყო დაპატიმრებული. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ვ. კაკაბაძე სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზეა — არის სამხედრო სკოლის პოლიტხელი, თბილისის საბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციული განყოფილების კომისარი, აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორის მოადგილე. 1930 წელს ვ. კაკაბაძე გაიგზავნა მოსკოვში სვერდლოვის უნივერსიტეტში სასწავლებლად, რომლის დამთავრების შემდეგ 1934 წელს დაინიშნა მოსკოვის ოლქის პროკურორად.

1937-1941 წლებში ვ. კაკაბაძე სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატშია, ხოლო შემდეგ ირჩევენ მოსკოვის ტაგანკის რაიონის სახალხო მოსამართლედ.

დიდი სამამული ომის წლებში ვ. კაკაბაძე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის დამცველთა რიგებშია, მუშაობს სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარედ. საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ 1945 წელს ვ. კაკაბაძე დაინიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგედ, სადაც პენსიაში გასვლამდე მუშაობდა. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

ყველას, ვინც კი იცნობდა, ვ. კაკაბაძე ახსოვს, როგორც უმწიკლო ბოლშევიკი, გულთბილი მეგობარი, თავდადებული და პრინციპული მუშაკი, პარტიის ერთგული ჯარისკაცი. ასეთივე დარჩება მისი ნათელი ხსოვნა მათ გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**


რედაქტორი
**გ. ბედინეიშვილი.**


ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲘ

## 7 თებერვალი

### პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 17.00 — ბიბლიოთეკათთვის — მათემატიკა (ფერადი), 17.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები, 18.00 — თბილისის ლენინის 161-ე საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების კანდიდატთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ამხ. ედუარდ შევარდნაძესთან (ტრანსლაცია ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან) ფერადი, 20.00 — რუსეთთან უკრაინის შეერთების 325-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი. ტრანსლაცია საბჭოთა კავშირის დიდი აკადემიური თეატრიდან, 22.00— „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი).

### მეორე პროგრამით

18.00 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა (ფერადი), 18.45 — განცხადებები (ფერადი), 18.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „უსური — ტაიგის მდინარე“ (ფერადი), 19.10 — მასწავლებლის საათი— ბიოლოგია (ფერადი), 19.40 — სატელევიზიო ფილმი „ევგენი ონეგინი“, 20.45 — სატელევიზიო ფერადი მრავალსერიანი ფილმი „ჩრდილები შუადღისას ქრებიან“ (III სერია).

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

## 7 თებერვალი

**შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — რიჩარდ III; კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — იეთიმ ბურჯი; ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — პამპანი ცაში.**


ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲠᲘ

## თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის № 31 რკინიგზის ტექნიკური სასწავლებელი

**აცხადებს საშუალო-განათლების მქონე-ახალგაზრდებიმიღებას 1979 წლის 15 თებერვლიდან შემდეგ სპეციალობებზე:**

**ელმავლის მემანქანის თანაშემწე.** სწავლის ხანგრძლივობა 1,5 წელია.

**შორი მატარებლის ვაგონის გამყოლი.** სწავლის ხანგრძლივობა 1 წელია.

**ელმავლის მემანქანე.** მიიღებიან საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული ახალგაზრდები. სწავლის ხანგრძლივობა 2 წელია.

სასწავლებელში მიღებულ მოსწავლეებს დაენიშნებათ სტიპენდია თვეში 30 მანეთიდან 37 მანეთამდე და საწარმოო პრაქტიკის პერიოდში შესრულებული სამუშაოებისათვის მიეცემათ გამომუშავებული თანხის 33 პროცენტი.

იმ კურსდამთავრებულებს, რომლებსაც ფრიადი და კარგი შეფასებები ექნებიათ ყველა საგანში და წარმატებით ჩაბარებენ საკვალიფიკაციო გამოცდებს, სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით მიეცემათ უფლება შევიდნენ უმაღლეს სასწავლებელში უშუალოდ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

სასწავლებელში სწავლის პერიოდი მოსწავლეებს ეთვლებათ უწყვეტ საწარმოო სტაჟად. საპაროების შემოხვევაში შორეული რაიონებიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს მიეცემათ ადგილი საერთო საცხოვრებელში.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტები სამშობლოს ერთგულად ემსახურებიან ამიერკავკასიის რკინიგზის ობიექტებზე სპეციალობისა და საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით. სამუშაო ადგილზე მათ მიეცემათ ხელფასი სასწავლებელში მიღებული თანრიგისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

სასწავლებელში ჩარიცხვისათვის საჭიროა შემდეგი ბუთები: განცხადება, განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა, (დედანი), სამხედრო ბილეთი ან მოწმობა, ჯანმრთელობა — ფორმა № 286, დახასიათება სკოლიდან ან უმაღლესი სასწავლებელი სამუშაო ადგილიდან, ავტობიოგრაფია, ექვსი ფოტოსურათი (3X4), პასპორტი წარმოადგენენ პირადად.

**სწავლა დაიწყება 15 თებერვალს.**

**დაწვრილებითი ცნობებიმიღება შეგიძლიათ სასწავლებელში ყოველდღიურად დილის 9-დან საღამოს 6 საათამდე.**

**სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, ლენინის რაიონი, ოქტომბრის ქ. № 184. თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის № 31 რკინიგზის სასწავლებელი, ტელეფონები: 61-32-53; 66-79-6; რკინიგზის: 61-40; 65-77.**

## სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვასი“ ბაზაზე არსებული თბილისის № 97 ტექნიკური სასწავლებელი

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1979-80 სასწავლო წლისათვის.**



**სასწავლებელში მიიღებიან** საშუალო განათლების მქონე 17-25 წლის ქალები და ვაჟები. სასწავლებელი ამზადებს მმართველ-ეკონომისტებს ქალაქებების სპეციალისტებს. სწავლის პერიოდში მოსწავლეები მიიღებენ 80 მანეთ სტიპენდიას და საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხის 33 პროცენტს.

სწავლის დრო ჩაითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად, ხოლო კურსდამთავრებულებს უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროს იძლევათ გარკვეული შეღავათები, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაიგზავნებიან სამუშაოდ სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „ელვაში“ სპეციალობის მიხედვით.

**სწავლა დაიწყება 15 თებერვალს.**

**საბუთები მიიღება** ყოველდღე დილის 9-დან 17 საათამდე, კვირის გარდა.

**მისამართი:** ქ. თბილისი, ტელ. 31-21-76; 31-93-3; 31-93-31. ტრანსპორტი — ავტობუსი № 2, 47, 67. ბოლო გაჩერება, ხოლო ტროლეიბუსი № 4, 5, 6, 11, 12, 14 და ავტობუსი № 20, 49, 53. ეაკადემიურ ლას გაჰმართის ბოლო გაჩერ



## თბილისის № 79 ტექნიკური სასწავლებელი

**აცხადებს მოსწავლეთა დამატებითის მიღებას 1979 წლისათვის.**

**სასწავლებელში მიიღებიან** 17-დან 30 წლამდე ქალები, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლის სრული კურსი.

სასწავლებელი ამზადებს სპეციალისტებს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის.

ქალები მიიღებიან სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესის ოპერატორის სპეციალობაზე.

**სწავლა დაიწყება 15 თებერვლიდან.**

**დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ** მიმღე კომისიას შემდეგი **მისამართით: პირველი მაისის რაიონი, დიდუბის მასივი.** ტრანსპორტი: ტრ. № 5, გაჩერება ქერესტინ ინსტიტუტი, ავტობუსები: № 4, 53, გაჩერება საოჭრომეტალო ფაბრიკა, ტელეფონი 51-33-2; 51-06-05.

## თბილისის № 32 ტექნიკური სასწავლებელი

**აცხადებს საშუალო განათლების მქონე სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებული ახალგაზრდებისა და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა მიღებას შემდეგ სპეციალობაზე:**

**დურგალი;**
**მღებავი;**
**ელექტრო და აირშემდუღებელი.**

სწავლება იწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე. სწავლის ვადა 8 თვეა. სწავლების პერიოდში მოსწავლეები მიიღებენ 70-80 მანეთ სტიპენდიას. გარდა ამისა სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები დამატებით მიიღებენ სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხის 33 პროცენტს.

კურსდამთავრებულები მიღებული პროფესიების მიხედვით განაწილებული იქნებიან სამშენებლო ობიექტებზე.

სასწავლებელში სწავლის პერიოდი მოსწავლეებს ეთვლებათ შრომის სტაჟად.

სასწავლებელში მიღების შესახებ განცხადება უნდა მიმიტანოთ დირექტორის სახელზე და უჩვენოთ არჩეული პროფესია.

განცხადებას უნდა ერთვოდეს: საშუალო განათლების ატესტატი (დედანი); დაბადების მოწმობა (დედანი); სამხედრო ბილეთი; ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286 6 ცალი ფოტოსურათი (ზომა 3X4).

**სწავლა დაიწყება 15 თებერვალს.**

**საბუთების მიღება იწარმოებს** ყოველდღე დილის 9-დან 17 საათამდე.

**ჩვენი მისამართია:** ახალციხის ქალაქის ქ. № 2. მეტროს სადგური „ოქტომბერი“. ტელეფონები 99-42-32. 66-14-90.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატი, პარტიული კომიტეტი და პროფკავშირის კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი**

**იოსებ (სოსო) სპირიდონის ძე კაციტაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**




ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔᲠᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲙᲕᲐᲚᲡ ᲒᲐᲘᲪᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲡ ᲐᲒᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲚᲔ ᲓᲐᲘᲫᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲓᲐᲜ.

**Ვ. ᲛᲐᲩᲐᲑᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.**

ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲢᲘᲥᲘᲐ

# ᲯᲕᲠᲘᲡ ᲣᲦᲔᲚᲢᲔᲮᲘᲚᲖᲔ

### მთაში ზამთარი ბატონობს

**ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ,** როცა საქართველოს ბარში ტემპერატურამ მკვეთრად აიწია და თებერვლის მზიანმა დღეებმა გამოანათა, მთაში კვლავ ზამთარი ბატონობს. კავკასიონის მასივების მთელ რიგ რაიონებში თოვლის საფარი მეტრს აღემატება, ზოგან კი მისი სისქე ორ მეტრს აღწევს.

ასეთ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჯვრის უღელტეხილზე მომუშავე გზის მეთვალყურეთა გარჯას, რათა ჩვენი რესპუბლიკიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გამავალ ამ უმოკლეს და ხელსაყრელ ტრასაზე რაც შეიძლება ინტენსიურად გაგრძელდეს სამანქანო მიმოსვლა. ამ საქმეში თავიანთი სიტყვა ამბობენ როგორც გზის მშენებლები, ისე ჯვრის უღელტეხილის მეტეოსადგურის სინოპტიკოსები. მოსაღოდნელი სტიქიის შესახებ სწორედ ისინი აწვდიან პირველ ცნობებს გზის მეთვალყურეებს.

ამ ზამთარს ჯვრის უღელტეხილზე ოთხჯერ შეწყდა მიმოსვლა, მაგრამ, ზვავებთან და ნამქერებთან ბრძოლაში გზის მშენებლებმა ოთხჯერვე გამარჯვება და მინიმუმამდე შეამცირეს მიმოსვლის ინტენსიურობის დაქვეითების კოეფიციენტი.

უღელტეხილის 48-კილომეტრიან ტრასაზე 27-ე საგზაო-საექსპლოატაციო უბნის (უფროსი — გ. ხარსიშვილი) ოსტატები და მექანიზატორები ორ ბრიგადად არიან დაყოფილი. პირველი ბრიგადა ემსახურება ტორნის-ჯვრის, ხოლო მეორე — ჯვარ-ქვეშეთის მონაკვეთს. მიმდინარე წელს აქ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი უბნის ოსტატებმა ყარამან კოკაეემ და სიმონ ამირიძემ, მექანიზატორებმა შოთა კასაევმა, ყაზბეგ კუმალაგოვმა, ქორია არაბულმა, სერგი და რომან კოკაევებმა და სხვებმა, რომლებიც ყოველდღიურად თითქმის 120 ათას კუბურ მეტრ თოვლს იღებენ გზიდან. მათთან ერთად ჯვრის უღელტეხილზე ნორმალურ სამანქანო მიმოსვლაში თავიანთი წვლილი შეიტანეს კობისა და მლეთის ავტომისპეკციის პოსტების გუშაგებს, რომლებიც, უკავშირდებიან რა ერთმანეთს, მკაცრ კონტროლსა და რეგულირებას უწევენ ორმხრივ მოძრაობას.

**გ. ქაჯაია,**
**ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲔᲪ. ᲙᲝᲠ.**

## „კვალი ნათელი“

**საქართველოს** კინემატოგრაფისტთა კავშირთან სულ ორი წელია, რაც ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა კლუბი ჩამოყალიბდა (კლუბის პრეზიდენტია ბონდო გაგნიძე), მაგრამ ამ მცირე დროის მანძილზე მან არაერთი საინტერესო ღონისძიება ჩაატარა, რითაც კარგ პროპაგანდას უწევს კინოხელოვნებას და ერთმანეთთან აახლოებს შემოქმედ ახალგაზრდებს.

ამას წინათ კლუბმა კინოსახლის დიდ დარბაზში შეხვედრა მოუწყო ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის მიხეილ თამარაშვილის ცხოვრებისა და მისი ნეშტის საშობლოში გადმოსვენების ამსახველი დოკუმენტური ფილმის „კვალი ნათელის“ დამდგმელ კოლექტივს: სცენარის ავტორსა და დამდგმელ რეჟისორს რ. თაბუკაშვილს, ოპერატორს ი. ბარამიძეს, ფილმის მხატვარს თ. მირზაშვილს, ხმის ოპერატორს ვ. არველაძეს და რეჟისორის ასისტენტს მ. შერეფნეს.

ფილმის ჩვენების შემდეგ სცენარის ავტორმა და რეჟისორმა რ. თაბუკაშვილმა პასუხი გასცა მაყურებელთა შეკითხვებს.

**მ. ᲮᲝᲡᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

## ᲖᲦᲕᲐᲛ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲘᲮᲘᲐ

**ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ. მ. გორგიელაძე).** გოგებაშვილის ქუჩაზე, საზღვაო ვაგზალსა და სატვირთო ნავსადგურს შორის ორი წელია დიდი სამუშაოები მიმდინარეობს. ადამიანები ზღვას უტევდნენ და უკან ახევინებდნენ. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ საზღვაო ვაგზალი ბოლო დროს ვეღარ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნებს, ხოლო სანაპირო იმდენად შევიწროებული იყო, რომ ტრანსპორტს ვერ იტევდა.

და აი, მშენებელთა თავდადებული შრომის შედეგად, ზღვამ უკან დაიხია, იგი რკინა-ბეტონის ჯებირით ჩაიკეტა. ასე გამოთავისუფლდა რეკონსტრუქციის შედეგად 5.000 კვადრატული მეტრი ფართობი. ახლა ბათუმის საზღვაო ვაგზალს შეუძლია ერთდროულად რამდენიმე სამგზავრო ხომალდი მიიღოს. გარდა ამისა, სანაპირო სკვერი ორჯერ გაიზარდა.

ნავსადგურის გაფართოებისა და ახალი ნავმისადგომის სამუშაოები შეასრულა ნოვოროსიისკის საზღვაო მშენებლობის ტრესტის № 20 მცურავმა რაზმმა. მათ მხარში ედგნენ ბათუმელები, განსაკუთრებით საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკები.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

**სსრ** კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ალექსანდრე აკიმის ძე იშკოვი გაათავისუფლა სსრ კავშირის თევზის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან პენსიაში გასვლის გამო.



## ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ

## დუმარწყვეტლად

**თბილისსა და მოსკოვში გრძელდება წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი.**

**ᲒᲣᲨᲘᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ** **გაიმართა ასპარეზობის მეოთხე დღის შეხვედრები. თბილისის „დინამომ“ აღმავლობით ითამაშა და დამაჯერებელი ანგარიშით (10:2) დაამარცხა ხარკოვის „ლოკომოტივი“.**

**ძლიერად ატარებს ტურნირს მოსკოვის „დინამო“. აღსანიშნავია, რომ ამ კოლექტივში სამი ქართველი სპორტსმენი ასპარეზობს. ესენი არიან გ. მშვენიერაძე, დ. სულაკაძე და ლ. ბურჭულაძე. აგრეთვე, გუნდის მეორე მწვრთნელია გ. ჩიქვანაია. მოსკოველებმა მოუგეს ლენინგრადის „ბალტიკას“ (8:8) და 8 ქულით (4 თამაშიდან) ლიდერობენ. თბილისის დინამოელებმა სამი თამაშიდან ქულათა მაქსიმუმი (6) დაგროვეს და ჯერჯერობით, მეორე ადგილზე არიან.**

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ** **ასპარეზობის სამი კალენდარული დღის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით (6) ლიდერობს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის გუნდი. ამ კოლექტივმა ზედიზედ დაამარცხა მოსკოვის „მოსკვიჩი“ — 8:5, კაპაციის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი (ბაქო) — 8:6 და ტაშკენტის „მეხანტი“ — 10:7.**

## სპორტი სოციალიზმის ქვეყნებში

### ᲰᲝᲙᲔᲘ ᲛᲝᲜᲦᲚᲝᲚᲔᲗᲨᲘ

**ᲛᲝᲜᲦᲚᲝᲚᲔᲗᲘᲡ** ქალაქ დარხანში დაიწყო მეათე საიუბილეო ჩემპიონატი ჰოკეიში. ქვეყნის ახალგაზრდობა სულ უფრო და უფრო დიდ ინტერესს ამჟღავნებს სპორტის ამ სახეობისადმი და აქაური სპეციალისტების განცხადებით, შორს არაა ის დღეებიც, როცა მონღოლეთის ნაკრები საერთაშორისო სარბიელზე იასპარეზებს.

### ᲡᲐᲠᲐᲔᲕᲝ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

**ᲗᲔᲗᲠᲘ** ოლიმპიადა 84-ის დედაქალაქი — სარაევო (იუგოსლავია) ამთავითვე ემზადება. საციგაო სპორტის საერთაშორისო ფედერაციასთან არსებული სამმენებლო კომისიის წევრები ადგილზე გაეცნენ ოლიმპიური საციგაო ტრასის მოსამზადებლად გაწეულ საქმიანობას და მაღალი შეფასება მისცეს.

### ᲡᲘᲯᲐᲜᲘᲡᲐᲚᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲘ

**ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ** ქალაქი კოშიცე რესპუბლიკის ერთერთი დიდი სპორტული ცენტრია. ამ ქალაქის 48 ათასი ახალგაზრდა სპორტთან მეგობრობს. კოშიცეში ახლა დიდი პოპულარობით სარგებლობენ „გამაჯანსაღებელი რბენის კლუბები“. ამ კლუბების წევრი ვაჟები წელიწადში 365 კილომეტრს დარბიან, ხოლო ქალები — 150-ს.

### ᲙᲝᲚᲝᲜᲔᲚ ᲐᲚᲞᲘᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ

**ᲙᲝᲚᲝᲜᲔᲚ** ალპინისტს ვანდა რუტკევიჩს მას შემდეგ, რაც მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ევერესტი დალაშქრა, პოლონეთში მთასვლელობის მრავალი მიმდევარი გაუჩნდა. წლეულს კიდევ რამდენიმე პოლონელი შეეცდება ევერესტის დაპყრობას.